პროლეტარიელნო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
26 ოქტომბერი
1940 წ.
№ 250 (5951)
ფასი 10 კაპ.

კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრობა

უკრაინის მწერალთა წერილი საბჭოთა საქართველოს კულტურის მოღვაწეებისადმი

დიდი ოქტომბრის XXIII წლისთავის წინადღეებში მთელი ჩვენი სოციალისტური სამშობლო სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ავლებს თვალს განვლილ გზას, აჯამებს თავის წარმატებებსა და მიღწევებს.

თავისუფალი უკრაინელი ხალხი, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ურღვევი მეგობრობით შეკავშირებული, იმკის თავისი სასიხარულო შრომისა და შემოქმედების ნაყოფს.

სტახანოვური მოძრაობის სამშობლოში სულ უფროდაუფრო ბრწყინვალედ გიზგიზებს იმ თავისუფალი გმირული შრომის ცეცხლი, რომელიც ახალი, კომუნისტური ურთიერთობის გამოვლინებას წარმოადგენს.

ქვანახშირის მრეწველობის მუშები და მსხმელები, მადნისმთხრელები და მჭედლები დაუღალავად მუშაობენ იმისათვის, რომ ახალ-ახალი ტონა ქვანახშირით, თუჯითა და ფოლადით განამტკიცონ საბჭოთა კავშირის ძლიერება, შეასრულონ ისტორიული ამოცანა — ეკონომიურადაც დავეწიოთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველები, ხუთასოვნები და ათასოვნები, ტრაქტორისტები და კომბაინერები არ კმაყოფილდებიან იმ მოსავლით, რომელსაც უკრაინის ნოყიერი მიწა იძლევა და იბრძვიან ისეთი მოსავლისათვის, რომელზეც ძველ სამყაროს ოცნებაც არ შეეძლო. მეცხოველეობის მოწინავენი აუთაცხელ ჯოგებს ზრდიან უკრაინის თვალუწვდენ ველებზე.

მძლავრად იზრდება სოციალისტური უკრაინის ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა.

ბრწყინვალედ იფურჩქნება უკრაინული საბჭოთა კულტურა; ჩვენს თეატრს აქვს რაც შეიძლება უჩვენოს მრავალმილიონიან მაყურებელს. ჩვენი მოქანდაკენი დამშვენებენ თავის ნაწარმოებებში ასახავენ მშვენიერი და მრავალფეროვანი საბჭოთა სინამდვილის სახეებს.

ხალხი მოერის ჩვენი კომპოზიტორების მიერ შექმნილ შესანიშნავ სიმღერებს. საბჭოთა უკრაინის მწერლები და პოეტები მთელ თავის ძალლონეს ანმარენ იმას, რომ შეაქებნან სტალინური ეპოქის ღირსეული ნაწარმოებნი.

უკრაინელმა ხალხმა იცის, რომ ამ წარმატებებს იგი აღწევს იმიტომ, რომ მას ხელმძღვანელობს ბოლშევიკთა ბრძენი პარტია, რომ მას ხელმძღვანელობს დიდი **იოსებ სტალინი,** რომელმაც გამოგზავნა თავისი ერთგული თანამებრძოლი და მოწაფე ნიკიტა ხრუშჩოვი უკრაინის ბოლშევიკების ხელმძღვანელად.

უკრაინელმა ხალხმა იცის, რომ ამ წარმატებებს მან მიაღწია იმიტომ, რომ ისტორიული გზის ყველა ეტაპზე მას მძლავრ, ძმურ დახმარებას უწევდა ყველა საბჭოთა ხალხი და, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხი, რომელიც უკრაინის ველებზეც და საქართველოს დაბლობებშიც ჩვენთან ერთად იბრძოდა და იბრძვის საერთო ბრძოლებსა და ლაშქრობებში, შრომასა და საგმირო საქმეებში თავისი ძმების — როგორც უკრაინელების, ისე ქართველების, ისე ბელორუსების ბედნიერებისათვის.

უკრაინელმა ხალხმა იცის, როგორ იბრძოდნენ და იბრძვიან თავისუფლების მოყვარული ქართველი ხალხის გმირი შვილები მთელი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ბედნიერებისათვის, კერძოდ, უკრაინის ბედნიერებისათვის.

და უკრაინელი ხალხი ღრმა სიყვარულის, პატივისცემისა და მადლობის გრძნობით მოაპყრობს თვალს საქართველოს მთების ალალ-ეებს, ქართლის დაბლობის მთავრობა ბელადს — საქართველოს დიდი შვილი, ყველა ხალხთა მამა—ჩვენი საყვარელი ბელადი, ჩვენი **სტალინი.**

ძმური სიყვარულისა და მეგობრობის მხურვალე გრძნობით გაერთიანებულია ქართველი და უკრაინელი ხალხების გული. ჯერ კიდევ წარსულ დროებაში ურთიერთ გაგება და სიყვარული აერთიანებდა საქართველოსა და უკრაინის საუკეთესო მწერლებს. „ცარიზმის შავბნელი წლების მიღმა ჩაუქრობლად ბრწყინავს ტარას შევჩენკოსა და აკაკი წერეთლის გულთბილი და ბრძნული მეგობრობა. ეს უკვე საუკუნეზე მეტია რაც აქ, უკრაინის მიწაზე, გაბისკინებს ნეტარ ძალი-დი პოეტის გურამიშვილისა, რომელიც თუმცა პოეტიანი უკრაინელ ხალხის სიმღერებს ასახავდა.

ჩვენმა ისტორიამ ბევრი იცის ჩვენი ერთობისა და მეგობრობის ასეთი ამაღელვებელი გამოხატულებანი.

მაგრამ მას არასოდეს არ სცოდნია და არც შეიძლებოდა სცოდნოდა ის მძლავრი გრძნობა, რომელითაც ამჟამად გაერთიანებული ვართ ჩვენ, — მძლავრი გრძნობა ხალხთა სტალინური მეგობრობისა, რომელიც ჩვენს სამშობლოს სამუდამოდ უძლეველს ხდის.

ჩვენი დიადი საყოველთაო-სახალხო მეგობრობა მტკიცდება დიადი საქმეებით, დიადი, სასიხარულო შემოქმედებითი შრომით. ძმური სოციალისტური შეჯიბრების ლოზუნგით აღფრთოვანებულნი არიან დონბასისა და ტყიბულის მაღაროელები, მზიანი საქართველოსა და უკრაინის კოლმეურნენი, ორი მოძმე რესპუბლიკის მეცნიერები, აქტიორები, ლიტერატორები.

ოქტომბრის დღესასწაულებზე უკრაინა მთელის ძვირფას სტუმრებს. სიხარულით ემზადება იგი დიდი ხნის ნანატრი ძმური შეხვედრისათვის.

ჩვენ, საბჭოთა უკრაინის მწერლები, მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო მეგობრებო—საბჭოთა საქართველოს მწერლებო, აქტიორებო, ხელოვნების მუშაკებო, კულტურის შემომქმედნო: გულწრფელად გთხოვთ გვეწვიოთ უკრაინაში, რათა ჩვენთან ერთად იდღესასწაულოთ ოქტომბრის საზეიმო დღეები, რათა კიდევ უფრო მეტად განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრობა, რათა კიდევ უფრო ღრმად შევისწავლოთ განვითარებისა და აყვავების ღრმა პროცესები, რომლებითაც მდიდარია ჩვენი უკრაინა, მისი ეკონომიკა, მისი კულტურა.

უკრაინის ყველა მშრომელთათვის ძვირფასი, საყვარელი სტუმრები იქნებით თქვენ, ქართველი ხალხის ვაჟებო და ქალიშვილებო, მისი მდიდარი, შესანიშნავი კულტურის შემომქმედნო.

საბჭოთა უკრაინა იცნობს, მას უყვარს ძმური საქართველოს ისეთი მწერლები, როგორიც არიან შალვა დადიანი, სიმონ ჩიქოვანი, ილო მოსაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ირაკლი აბაშიძე და ბევრი სხვა ნიჭიერი მწერალი. ჩვენ ვიცნობთ, ჩვენ გვიყვარს თეატრისა და კინოს ისეთ შესანიშნავ ოსტატთა შემოქმედება, როგორიც არიან აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, მიხეილ ჭიაურელი, ნიკოლოზ შენგელაია, ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, ნატა ვაჩნაძე და სხვები.

მობრძანდით ჩვენში, ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა უკრაინა ნამდვილად მოგცემთ შთაგონებას და ახალ თემებს თქვენი შემოქმედებისათვის.

საზეიმო დღეებში, როდესაც ჩვენი ძმები და ამხანაგები — მაღაროელები, მემინდვრეები, ტრაქტორისტები, მწყემსები შეაჯამებენ თავისი სოციალისტური შეჯიბრების ნაყოფს, არც ჩვენ ჩამოვრჩებით, ჩვენი სამშობლოს კულტურის მუშაკები, იმ კულტურისა, რომელიც ერთიანია თავისი სოციალისტური შინაარსით და ესოდენ მდიდარია თავისი ნაციონალური ფორმით.

ჩვენ კულტურასა კიდევ უფრო ღრმა ერთობაშია იმის საწინდარი, რომ კიდევ უფრო წარმატებით და ძლევამოსილად ავაგოთ დედამიწაზე კომუნიზმის კულტურის მზიანი, მშვენიერი სასახლე, რომელსაც ვაშენებთ ჩვენ, **მარქს-ენგელს - ლენინ - სტალინის** დიადი მოძღვრებით შთაგონებულნი.

მ. ბაჟანი, ა. გოლოვკო, ი. გოროდსკოი, ა. კოპილენკო, ა. კორნეიჩუკი, ი. ლე, ა. მალიშკო, პ. პანჩ, ნ. რიბაკ, მ. რილსკი, მ. ტარდოვი, პ. ტიჩინა, პ. უსენკო, ი. ფეფერი.

ᲕᲐᲠᲗᲝᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲐᲕᲘᲗᲐᲠᲝᲗ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲛᲔᲣᲜᲔᲠᲝᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ

ქართული საქართველოს სამრეწველო მეხილეობის ძირითადი რაიონია. საკმარისია ითქვას, რომ მთელს რესპუბლიკაში ამჟამად არსებული ხეხილის ნარგავთა 25,6 პროცენტი მარტო ქართლის რაიონებშია გაშენებული. აქაური ვაშლი, მსხალი, ატამი, გარგარი, ბალი და სხვა ხეხილი, რომლებსაც ფართოდ იყენებენ საკონსერვო მრეწველობაში, განთქმულია თავისი მაღალი ხარისხით.

მტკიცედ ანხორციელებდნენ რა ერთგული სტალინელის ამხანაგ **ლ. ბერიას** მითითებებს, ქართლის რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ხეხილის ნარგავთა ფართობი 1930 წლის 5.500 ჰექტარიდან 16.873 ჰექტარამდე აიყვანეს 1940 წლისათვის. ფართობის ზრდასთან ერთად თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა ხეხილის ჯიშიანობა, იმატა მოსავალმაც. მაგრამ მთავარი და სერიოზული სამუშაო ისევ წინ არის.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1940 წლის 15 ოქტომბრის ცნობილ დადგენილებაში მთელი საქართველოს პარტიული, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანოებს ამოცანად დაუსახეს 1945 წლის დამლევისათვის ქართლის რაიონებში ხეხილის ნარგავთა ფართობი აყვანილ იქნას 45.000 ჰექტარამდე, რისთვისაც 1941-45 წლების მანძილზე ახალი ხეხილი უნდა გაშენდეს 28.000 ჰექტარზე. კიდევ უფრო სერიოზული ამოცანაა დასახული მოსავლიანობის შემდგომი გადიდების დარგში. ქართლის რაიონების ხეხილის ნარგავების მთელი ფართობიდან, სრული მსწმოიარობის ასაკში, უზრუნველყოფილი უნდა იქნას არანაკლებ ვიდრე 20 მილიონი ფუთი ხილის საერთო მოსავლის მიღება, ხოლო 1945 წელს—არანაკლებ 5 მილიონი ფუთისა.

ამ თვითვე უნდა შევუდგეთ სეზონურ მუშაობას ქართლის რაიონების ხელშემწყობი ბუნებრივი პირობების გამოყენებისათვის. მეხილეობის სამეცნიერო-კვლევითს სადგურს, რომელიც წელს უნდა შეუწყოს საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან, დიდი მუშაობა მოუხდება მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მდიდარ გამოცდილებათა შესწავლისა და განზოგადებისათვის. მოწინავენი კი ცოტა როდია. აი თუნდაც გორის რაიონის კოლმეურნეობა „ბაბოსტანი“, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობდა. ამ კოლმეურნეობამ წელს თესლოვანი ხეხილის ბაღის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 136,5 ცენტნერი ნაყოფი მიიღო, 66,5 ცენტნერით მეტი, ვიდრე გამოფენაში მონაწილეობისათვის არის დაწესებული. თბილისის რაიონის ავჭალის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობას კარგი მოვლის შედეგად 9 ჰექტარმა მსხმოიარე ბაღმა წელს 199.000 მანეთზე მეტი შემოსავალი მისცა. მოწინავეთა ეს მდიდარი გამოცდილება, მთელი რაიონის ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კუთვნილებად უნდა გადავაქციოთ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას — ქართლის რაიონების სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ — ყველგან დიდი აქტივობით იხილავენ. კოლმეურნეთა საერთო კრებებზე, ღია პარტიულ კრებებსა და თათბირებზე მსჯელობენ იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყონ საქმე დადგენილების წარმატებით შესრულებისათვის. კოლმეურნეები გულდასმით სწავლობენ ადგილობრივ შესაძლებლობას, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს და მიმდინარე სამუშაოთა გეგმების შესრულებაში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ.

თბილისის რაიონის 51 კოლმეურნეობიდან დღემდე მეხილეობას მხოლოდ 8 კოლმეურნეობა მისდევდა. დადგენილებასთან დაკავშირებით ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადჰყო, რომ მეხილეობა შეიძლება განვითარდეს რაიონის ყველა კოლმეურნეობაში. თბილისის რაიონის კოლმეურნეობებს განზრახული აქვთ ნაცვლად 300 ჰექტარისა, ამ შემოდგომაზე ხეხილის ბაღები 1300 ჰექტარზე გააშენონ. დადგენილებამ ასეთივე საქმიანი გამოხმაურება გამოიწვია ქართლის დანარჩენ რაიონებშიც.

სამრეწველო მეხილეობა თავისი განვითარების ახალ ხანას იწყებს. არ უნდა დაიკარგოს არცერთი სამუშაო დღე, არცერთი საათი,— ასეთია ამოცანა. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სანერგე მეურნეობა. აქედანვე უნდა მოვემზადოთ 1941 წლის მყნობის კამპანიისათვის. წინასწარ შევარჩიოთ მაღალხარისხოვანი სადედე ხეები, რომლებიდანაც სანამყენე კალმები უნდა იქნას აღებული. დავაწესოთ ამ ხეების განსაკუთრებული მოვლა. თვითეულმა რაიონმა ისე უნდა გააფართოვოს ხეხილის სანერგე მეურნეობა, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან ერთად სტანდარტული, მაღალხარისხოვანი ნერგი მიაწოდოს კოლმეურნეებს საკარმიდამო ნაკვეთებზე გასაშენებლად.

მალე დაიწყება ხეხილის საშემოდგომო რგვა. მიუხედავად ამისა, ქართლის სხვა რაიონების მთელი რიგი კოლმეურნეობები ჯერაც არ შესდგომიან ნიადაგის მომზადებას. ხეხილის გაშენების საშემოდგომო გეგმა ყველა რაიონმა უნდა შეასრულოს. განსაკუთრებული მუშაობა მართებთ ამ მხრივ თბილისისა და მცხეთის რაიონებს, რომლებმაც ამ შემოდგომაზე ხეხილის ბაღები 450 ჰექტარზე უნდა გააშენონ, ანუ 73 პროცენტი მთელი იმ დაგალებისა, რაც ქართლის ყველა რაიონს აქვს მიცემული. არ უნდა განმეორდეს გასული წლის მაგალითები, როცა შემოდგომაზე დარგულ ხეხილის ბაღებს მაშინვე არ რწყავდნენ, რაც იწვევდა ნარგავთა დაზიანებას. უნდა დავაჩქაროთ მეხილეობის სპეციალური ბრიგადების შექმნა კოლმეურნეობებში, რომ დროულად ჩავატაროთ ბაღებში ისეთი მნიშვნელოვანი საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები, როგორიცაა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა, ქარსაფარი ზოლების მოწყობა, სიმეჩხრის მოსპობა, მოხვნა და სხვ.

ფართო სარწყავი ქსელის მოწყობა, სამუშაოთა მექანიზაციის დონის ზრდა, სახელმწიფო კრედიტები, გადამმუშავებელი მრეწველობის გაფართოება და მთელი რიგი სხვა ღონისძიებები, რაც სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 ოქტომბრის დადგენილებაშია გათვალისწინებული, მიმართულია იმისკენ, რომ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად ფართოდ განვავითაროთ ქართლის რაიონებში სამრეწველო მეხილეობა, რაც კიდევ უფრო გაუმჯობესებს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობას.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 ოქტომბრის დადგენილება წარმოადგენს ქართლის რაიონების შემდგომი აყვავების სტალინური პროგრამას. მისი წარმატებით შესრულება მთელი საქართველოს მშრომელთა ღირსების საქმეა.

ᲐᲛᲮ. Ვ. მ. ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ Ბ-ᲜᲘ ᲬᲐᲬᲔᲙᲐᲕᲐ

25 ოქტომბერს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო იაპონიის ახალი ელჩი ბ-ნი ტატეკავა.

ᲑᲣᲠᲘᲐᲯ-ᲛᲝᲜᲦᲝᲚᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

პიესა „ერჟენის“ დადგმა

24 ოქტომბერს ბურიატ - მონღოლეთის სახელმწიფო მუსიკალურმა დრამატიულმა თეატრმა სსრ კავშირის დიდი თეატრის ფილიალის სცენაზე აჩვენა თავისი მეორე დადგმა — მუსიკალური პიესა „ერჟენი“. იგი დაწერილია ბურიატ - მონღოლეთის ასსრ სახალხო არტისტის ნ. გ. ბალდანოსა და მ. ვ. ედელის მიერ, ხოლო მუსიკა სპექტაკლისათვის—ვ. ი. მოროშკინის მიერ. ეს არის პირველი დრამატიული ნაწარმოები, რომელიც თეატრმა შეჰქმნა თანამედროვე მასალით. სპექტაკლი გვიჩვენებს ახალგაზრდობის საქმეებსა და ცხოვრებას საბჭოთა მეურნეობაში, გვიჩვენებს ჩვენი დროის ახალგაზრდების ახალ ურთიერთობას.

პიესის დადგმა განახორციელა მისმა ერთერთმა ავტორმა—ნ. გ. ბალდანომ რეჟისორ მ. ი. სტეპანოვის, დირიჟორ კ. კ. ტიხანრავოვის, მხატვარ ც. ს. სამპილოვისა და გ. ლ. კიგელის შემოქმედებითი თანამშრომლობით. სპექტაკლში გამოვიდა თეატრის ყველა წამყვანი მსახიობი ბურიატ-მონღოლეთის ასსრ სახალხო არტისტები ნ. გ. ბალდანო და გ. ც. ციდენჟაპოვი, ბურიატ-მონღოლეთის ასსრ დამსახურებული არტისტები ნ. ტ. გარმაევა, ვ. კ. ხალმატოვი, ჩ. გ. გენინოვი, ე. ს. პაგბაინი, ნ. გ. გენდუნოვა, ნ. ვ. ტაროვი და სხვ.

დამაწერენი ცხოველი ინტერესით შეხვდნენ წარმოდგენას და გულმხურვალედ მიესალმნენ მსახიობებს. (საკადესი).

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

სსრ კავშირის შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოში მოგავლი განცხადება შეაქვს ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობას სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში, აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში მიღების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, შრომითი რეზერვების ყველა სამხარეო, საოლქო და რესპუბლიკურ სამმართველოს წინადადება მიეცა ფართოდ განუმარტონ მოსახლეობას, რომ სასწავლებლებსა და სკოლებში მიღების შესახებ განცხადება უნდა შეიტანონ ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის გამწვევ კომისიაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განცხადებათა მიღება იწარმოებს მხოლოდ იმ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში, სადაც შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს 1940 წლის 4 ოქტომბრის № 1 ბრძანების საფუძველზე გათვალისწინებულია გაწევა სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების დასაკომპლექტებლად.

შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოში შეტანილი ყველა განცხადება გაიგზავნა შრომითი რეზერვების საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ სამმართველოებში, რათა ეს განცხადებანი საქალაქო და სარაიონო გამწვევ კომისიებს გადაეცეს. (საკადესი).

Ი. Ვ. ᲛᲘᲩᲣᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 85 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

ამ წლის 27 ოქტომბერს სრულდება ბუნების დიდი გარდამქმნელის, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის ივანე ვლადიმერის-ძე მიჩურინის დაბადების 85 წლისთავი.

ამ თარიღს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია აღნიშნავს ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების კრებით. მოსმენილ იქნება მოხსენებანი: აკადემიკოს ბ. ა. კელერისა — „მიჩურინის მოძღვრების მნიშვნელობა დარვინის ევოლუციური თეორიის განვითარებისათვის“, აკადემიკოს ნ. ვ. ციცინისა — „ორგიული ჰიბრიდიზაციის სამუშაოთა შედეგები“, მეცნიერებათა აკადემიის წევრის-კორესპონდენტის ვ. ნ. სუკაჩევისა —„მცენარეთა შორის არსებობისათვის ბრძოლის ექსპერიმენტული შესწავლის შედეგები“ და სხვ.

Ი. Ვ. ᲛᲘᲩᲣᲠᲘᲜᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

მთავრდება ი. ვ. მიჩურინის თხზულებათა 4-ტომიანი კრებულის გამოცემა; ეს კრებული გამოდის აკადემიკოსების ბ. ა. კელერისა და ტ. დ. ლისენკოს საერთო რედაქციით. უკვე გამოვიდა პირველი და მესამე ტომი, უახლოეს დღეებში გამოვა მეორე ტომი, მეოთხე ტომი იბეჭდება.

ამ გამოცემაში შეტანილია დღიურები და უბის წიგნაკი, რასაც მეცნიერი თვლის თავის სიცოცხლეში აწარმოებდა. მეოთხე ტომში გამოქვეყნდება ავტორის ვრცელი მიმოწერა მეცნიერებთან, მცდელ მეგობრებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

გამოცემა დასაბეჭდად მოამზადეს ი. ვ. მიჩურინის უახლოესმა თანაშემწეებმა (საკადესი).

ᲑᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲒᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

ბრესტი. შესდგა ინტელიგენციის საერთო - საქალაქო კრება. მოხსენება იმის შესახებ, თუ რა ამოცანები აქვს დაკისრებული ინტელიგენციას საარჩევნო კამპანიის დროს, გააკეთა ბელორუსიის კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მდივანმა ბელიაევმა. მასწავლებელმა არტიშევსკაიამ შეკრებილთ უამბო, თუ რა უუფლებო ცხოვრება ჰქონდა ინტელიგენციას ბანების ყოფილ პოლონეთში და რა სასიხარულო შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული სოციალისტურ ქვეყანაში.

აგრონომმა დერეიკაინ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბრესტის ინტელიგენცია ახლაც ისეთ აქტიურ მონაწილეობას იღებს საარჩევნო კამპანიაში, როგორც სსრ კავშირისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების არჩევნების დროს.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ სტალინისადმი.

24 ოქტომბერი (საკადესი).

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲖᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ ᲛᲘᲣᲛᲗᲕᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ.

ოქტომბრის დღესასწაულზე ლენინგრადს მოსკოვიდან, ხარკოვიდან, დნეპროპეტროვსკიდან, ივანოვოდან, ნოვოსიბირსკიდან, კუიბიშევიდან და სოჭიდან 500-ზე მეტი სტუმარი და ექსკურსანტი ჩამოდის. ისინი მონაწილეობას მიიღებენ დემონსტრაციაში, დაათვალიერებენ სმოლნს—ლენინისა და კიროვის ოთახებს, გაეცნობიან ქალაქის ღირსშესანიშნაობათ.

24 ოქტომბერი (საკადესი).

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲒᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲕᲔᲚᲔ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ

24 ოქტომბერს მოსკოვში დაიწყო სამხედრო-საველე ქირურგიის კვირეული. იგი დაიწყო წითელი არმიის ფრუნზეს სახელობის ცენტრალურ სახლში. აქ შეიკრიბნენ მოსკოვის გარნიზონის ექიმები, აგრეთვე მედიცინის სამოქალაქო მუშაკები.

ექიმთა პირველ კრებაზე საინტერესო მოხსენება ჯარის რაიონში ქირურგიული მუშაობის თანამედროვე პრინციპებზე გააკეთა აკადემიკოსმა ნ. ნ. ბურდენკომ.

კრებამ მისალმება გაუგზავნა ამხანაგ სტალინს და თავდაცვის სახალხო კომისარს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხ. ტიმოშენკოს. (საკადესი).

ᲰᲘᲓᲠᲐᲕᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲐ ᲙᲣᲖᲑᲐᲡᲨᲘ

პროკოპიევსკი, 24 ოქტომბერი (საკადესი). ტრესტ „პროკოპიევსკუგოლის“ კალინინის სახელობის მაღაროში მთავრდება ჰიდროუბნის შენებლობა. კუზბასში ეს პირველი ჰიდროუბანია. დამთავრებულია სამთო და ბეტონის სამუშაოები, აგებულია სატუმბო კამერა, ელექტროქვესადგური, საელექრები. გუშინ დასდგეს პირველი ჰიდრომონიტორი, ღარები ქვანახშირის ჩასაშვებად. მთავრდება სიგნალიზაციის მონტაჟი და მეორე ჰიდრომონიტორის დადგმა. ნოემბრის პირველ რიცხვებში დაიწყება უბნის ექსპლუატაცია.

უბანი ისეა მოწყობილი, რომ შეუფერხებლად იმუშაოს ციმბირის სუსხიანი ზამთრის პირობებში.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲕᲝ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

ᲕᲘᲜᲜᲐ, 24 ოქტომბერი (საკადესი). როგორც ზოგიერთი უცხოელი და ფრანგი ჟურნალისტი აცხადებს, გერმანიის საზავო პირობები, რაც საფრანგეთს გადაეცა, შეიცავენ მოთხოვნას, რომ გერმანელებს გადაეცეს ლა-მანშის სანაპირო ბულონამდე, არდენი, ელზას-ლორენი და მარნეკო; ამას გარდა გერმანელები მოითხოვენ გადაეცეთ იტალიელებს საზღვაო ალპების დეპარტამენტი ნიცი-თურთ, აგრეთვე კორსიკა და ტუნისი, ხოლო ესპანელებს—პირენეის მიდამოები. საგარეო საქმეთა სამინისტროს წრეებში ამ ცნობებს არ უარჰყოფენ და არც დასტურებენ. ასლა თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გერმანელები მოითხოვენ პირველ რიგში ფლოტისა და საფრანგეთის რესურსების გამოყენებას. პეტენს გარკვეული პოზიცია არ უჭირავს და მერყეობს.

ᲛᲝᲚᲝᲐᲠᲐᲙᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲣᲠᲐᲜᲒᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 24 ოქტომბერი (საკადესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ბერნიდან იუწყება, საფრანგეთის მთავრობა იხილავს პროექტს საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებისას, რომელსაც ძალა ექნება საბოლოო ზავის დადებამდე. ამ შეთანხმების მიხედვით, საფრანგეთი გერმანიას უთმობს დაკარის, ტულონის, კასაბლანკის და ბიზერტის საზღვაო ბაზებს და საჰაერო ბაზებს ჩრდილოეთ აფრიკასა და სირიაში. ამ ბაზების დაცვა საფრანგეთის ფლოტს ეკისრება, მაგრამ გერმანელები კონტროლს არ გაუწევენ საფრანგეთის ფლოტს და საფრანგეთი არ დაიწყებს ომს ინგლისის წინააღმდეგ. არაოკუპირებული ზონის საზღვარი ჩრდილოეთისაკენ გადაიწევა და გაივლის მდინარე სენზე, რაც საშუალებას მისცემს ფრანგებს კონტროლი გაუწიონ პარიზის ნაწილს. ყველა ფრანგი სამხედრო ტყვე განთავისუფლებული იქნება. როგორც აღნიშნავენ, იმის მიუხედავად, რომ ლავალს სურს მიაღწიოს გერმანიასთან ურთიერთობის საბოლოო მოწესრიგებას, პეტენმა და კაბინეტის სხვა წევრებმა უარი სთქვეს ინგლისის წინააღმდეგ ომის წარმოებაზე, მაგრამ დასთანხმდნენ დასდონ დროებითი შეთანხმება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანია მთელი საფრანგეთის ოკუპაციას მოახდენს.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲯᲐᲨᲣᲨᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 24 ოქტომბერი (საკადესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო ბუქარესტიდან იუწყება, რომ ლეგიონერთა პოლიციამ რუმინეთში აღმოაჩინა პოლონელთა ფართოდ გაშტოებული ჯაშუშური ორგანიზაცია. გუშინ ლეგიონერებმა გაჩხრიკეს ყველა შენობა, რომლებიც ეკუთვნის პოლონეთის ყოფილ მისიას რუმინეთში (გარდა თვით ყოფილი მისიის შენობისა); გაჩხრეკის შედეგად აღ

ქართლის რაიონების შემდგომი აყვავებისათვის

ბერბუკელთა ახალი წარმატებანი

ბოლი, 25 ოქტომბერი („კომუნისტის“ კორ.). ქართლის რაიონების სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების გაცნობამ ბერბუკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებში ახალი შრომითი ენერგიაზმი გამოიწვია.

კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც წარმატებით სრულდება.

1941 წლისათვის კოლმეურნეობაში მოეწყობა მეფრინველეობის ფერმა. 200 ფრთა ქათმის შესაძენად გამგეობამ უკვე გადადო 3.000 მანეთი. მომავალ წელს კოლმეურნეობა გააშენებს 10 ჰექტარ ხეხილის ბაღს. აქედან ამ დღეებში უკვე მოამზადეს 2 ჰექტარი მიწა ხეხილის სანერგისათვის და 400 ძირი ნერგის შესაძენად გამოჰყვეს 600 მანეთი. რამდენიმე დღის წინ კოლმეურნეებმა დაამთავრეს ჭაობის ამოშრობა 3 ჰექტარზე; ახლა მიმდინარეობს მისი გადახვნა. ეს ყოფილი ჭაობიანი ადგილი განკუთვნილია კარტოფილის დასათესად. უკვე შეიძინეს 50 ცენტნერი კარტოფილის თესლი.

განსაკუთრებული წარმატებით მუშაობენ კოლმეურნეები მათე მერებაშვილი, ნინო აბალაკი, შუშანა გიგაური და დათა თათარაშვილი. ბერბუკელმა კოლმეურნეებმა ბაღის ხეხილის ძირების შემობარვა ჩაატარეს 7 ჰექტარზე; ხორბლეულის საშემოდგომო თესვა დაამთავრეს 120 ჰექტარზე.

კოლმეურნეები იბრძვიან იმისათვის, რომ მომავალ წელს თვითეული ჰექტარიდან 14 ცენტნერი პურის მოსავალი მიიღონ.

ბერბუკის კოლმეურნეობაში 40 კომლს აქვს რადიო. კოლმეურნეთა 65 ოჯახს ელექტრონი ანათებს. ახლა კოლმეურნეები ცდილობენ სოფელ ხელფუბნიდან წყარო გამოიყვანონ. კოლმეურნეები თებრო რუსიტაშვილი და მათე მერებაშვილი ზრუნავენ იმისათვის, რომ მომავალი წლისათვის თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთზე თვითეულმა 50 ძირი ატამი და მსხალი გააშენოს.

ს. ყურაშვილი

დუშეთის რაიონის მშრომელთა სიხარული

დუშეთი, 25 ოქტომბერი („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მშრომელთა შორის უდიდესი სიხარული გამოიწვია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ. რაიონის კოლმეურნეები აღფრთოვანებით ეცნობიან სოფლის მეურნეობის აყვავების ამ სტალინურ პროგრამას.

ამ დადგენილების განხილვასთან დაკავშირებით საერთო კრებებზე გამოსული კოლმეურნეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისინი ამთავითვე სერიოზულად შეუდგებიან მათ წინაშე დასახულ დიდ სამუშაოთა შესრულებას. სოფ. ჯიქურაულთკარის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ გადასწყვიტა 1945 წლისათვის უზრუნველჰყოს 13 ჰექტარი ვენახის გაშენება, საკვები ბალახები დასთესოს 8 ჰექტარზე, 1941 წლის გაზაფხულზე ითესოს ორი ჰექტარი. ფართობი და მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის უზრუნველყოფის მიზნით ააშენოს ორი სასილოსე კოშკი.

დიდი სიხარულით შეხვდნენ კოლმეურნეები 1941 წელს ჯიქურაულთკარის ათი კილომეტრის სიგრძის სარწყავი არხის გაყვანას, რაც დადგენილებით არის გათვალისწინებული. არხის გაყვანის სამუშაოთა დასაწყებად ყველა კოლმეურნე მზად არის. ისინი როგორც ერთი კაცი გამოვლენ სამუშაოზე.

დუშეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში იკისრეს ფართოდ განავითარონ ბოსტნეული კულტურები, ამასთან ერთად ხეხილის ბაღი გააშენონ 5 ჰექტარზე, ნაცვლად ახლანდელი ერთი ჰექტარისა, ვენახი კი 10 ჰექტარამდე, ნაცვლად 3 ჰექტარისა. ამ კოლმეურნეობამ იკისრა 2,5 კილომეტრზე გაიყვანოს სარწყავი არხი.

სოფ. პირმისაანთკარის ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებაზე კოლმეურნე ვ. ციხელაშვილმა განაცხადა: — პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის დადგენილებით გათვალისწინებულია აგრეთვე ყინვალის ჰიდროელსადგურის მშენებლობა. ეს ყველას გვაფრთოვანებს. ელსადგურის აშენების შემდეგ ჩვენს ოჯახებს ილიჩის ელნათურები გააჩირაღდნებს. ეს ბედნიერი და საამური ცხოვრება ჩვენ მოგვანიჭა ხალხთა საყვარელმა ბელადმა, ჩვენმა მშობლიურმა დიდმა **სტალინმა.** ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ პირნათლად შევასრულოთ პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის დადგენილება.

განვავითაროთ სამრეწველო მეხილეობა

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ, უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

ამჟამად გორის რაიონის საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში 7.006 ჰექტარზეა გაშენებული ხეხილის ბაღები. ვაშლის ჯიშებიდან უმთავრესად გავრცელებულია შამპანური რენეტი, კეხერა, კანადური რენეტი და სხვა. განთმეულია ატმის ჯიშები: ხიდისთაური თეთრი, ხიდისთაური წითელი და ხიდისთაური ყვითელი საგვიანო.

სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადმა“, რომელსაც 250 ჰექტარი ბაღი აქვს, უკანასკნელ წლებში ახალგაზრდა მსხმოიარე ბაღის ერთი ჰექტარიდან საშუალოდ 10 ცენტნერი, ხოლო ძველი მსხმოიარე ბაღიდან 100-ზე მეტი ცენტნერი ვაშლი მიიღო. ხილის მოსავალს ყოველწლიურად ადიდებენ აგრეთვე სოფელ ბერბუკის, დიდი გარეჯვრის, მერეთის და სხვა კოლმეურნეობები.

მაგრამ სამრეწველო მეხილეობის განვითარებისათვის არსებული ბუნებრივი ხელშემწყობი პირობები დღემდე მთლიანად არ არის გამოყენებული. საკმარისია ითქვას, რომ მთიანი ზონის კოლმეურნეობებში ჯერჯერობით ხეხილის ნარგავების ფართობი ვხედავთ. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მთის ზონის კოლმეურნეობებში უნდა გავავრცელოთ ყინვის ამტანი ჯიშები კეხერა, შამპანური რენეტი და ქართული სინაპი. ბარის ზონის კოლმეურნეობებში კი არსებული ხეხილის ნარგავების ფართობი უნდა გაორკეცდეს. შესაბამისი ადგილი უნდა დაეთმოს ნუშის კულტურას.

ტირიფონის ველზე ქარსაცავი ზოლების შექმნა, რაც ახლა იწყება, ხელს შეუწყობს ამ უბანზე მეხილეობის შემდგომ განვითარებას და გააუმჯობესებს ჰავას. უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში ტირიფონის ველზე მდებარე კოლმეურნეობებმა არსებული ბაღების ფართობი ერთი სამად უნდა გაადიდონ. პარტიისა და მთავრობის დადგენილების საფუძველზე რაიონის კოლმეურნეობებში უკვე ჰქმნიან მეხილეობის სპეციალურ ბრიგადებს.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გაზაფხულზე ბაღების გაშენება და რემონტი, მეტადრე, თუ მორწყვა დროულად არ ტარდება, ხშირ შემთხვევაში ხეხილის დაღუპვის იწვევს, ამიტომ ამიერიდან რაიონის კოლმეურნეობებში ხეხილის გაშენება და რემონტი შემოდგომით ჩატარდება, რაც ხეხილის ზრდა - განვითარებას გაუუჯობესებს, ასწევს მისი გახარების პროცენტს.

სამრეწველო მეხილეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხეხილის სანერგეებს. ახლა მხოლოდ 3 ჰექტარზე გვაქვს ხეხილის სანერგე, რომელიც 30-40 ჰექტარამდე უნდა გავადიდოთ. ქარსაცავი ზოლებისათვის სანერგე მასალის გამოსაყვანად ახალი სანერგე მოწყობილი იქნება წითელიუბნის კოლმეურნეობაში, ხოლო ხეხილის სანერგე — ქვემოახალსოფლის კოლმეურნეობაში.

ა. ნოზაძე

გორის რაიმოწვანის უფროსი აგრონომი.

ინგლის-გერმანიის ომი

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 24 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ლონდონის ავტორიტეტული წრეების აზრით, მიუხედავად იმ ზარალისა, რაც უკანასკნელი თვენახევრის განმავლობაში გერმანიის შემოსევის ბაზებს მივაყენეთ, ინგლისში გერმანიის შემოჭრის საფრთხე ჯერ კიდევ არ არის თავიდან აცილებული. ამ ხნის განმავლობაში ინგლისის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მოწინააღმდეგის ხელში მყოფ მთელ სანაპიროს 2 ათასი მილის მანძილზე — ნარვიკიდან ბორდომდე. ინგლისის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ჰოლანდიის, ბელგიისა და საფრანგეთის სანაპიროზე არსებულ დოკებს, ყაზარმებს, აეროდრომებს, ელექტროსადგურებს, რკინიგზის ლიანდაგებსა და სამხედრო-საზღვაო არსენალებს. ავიაციის სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებამ გუშინ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბომბარდირების შედეგად ძალზე დანგრეულია დიუნკერკის ორი ძირითადი დოკი. ბრესტში ავიაცია წარმატებით დაესხა თავს არსენალსა და აეროდრომს. კალეში ცეცხლმა მოსპო მშრალი დოკების სამხრეთაღმოსავლეთ ნაწილთან მდებარე შენობები. დოკების აღმოსავლეთი ნაწილი დაზიანებულია. მნიშვნელოვნად დაზიანებულია აგრეთვე შიდა აუზსა და სავაჭრო ნავსადგურს შორის არსებული რაბები. არსებული ცნობებით, მეზობლად მდებარე ელექტროსადგური მთლიანად მოსპობილია. ლორიანში ყუმბარები პირდაპირ მოხვდა ჯებირზე არსებულ შენობებს. მნიშვნელოვნად არის დანგრეული ტორპედიანი კატარღების ბაზაც. ინგლისის თვითმფრინავების მიერ ნავსაყუდლის ფარგლებს გარეთ ჩაწყობილმა ნაღმებმა რამდენიმე გემი დაღუპეს. 5 სექტემბრიდან დაწყებული, ინგლისის თვითმფრინავები განუწყვეტლივ უშენდნენ ყუმბარას მოწინააღმდეგის ჯარის თავმოყრილ ნაწილებსა და მასალებს. სხვადასხვა წყაროდან მოდის ცნობები, რომ ინგლისის ავიაციამ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე დიდი ნგრევა გამოიწვია.

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 24 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ 23 ოქტომბერს, ღამით, გერმანიის თვითმფრინავებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარები შოტლანდიის ერთ-ერთი ქალაქის სამხედრო ობიექტებს.

ოსლოს საჰაერო ბომბარდირება

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის თვითმფრინავებმა გუშინ ყუმბარები დაუშინეს ოსლოს. შვეციის საზღვრისპირა რაიონების მცხოვრებნი აცხადებენ, აფეთქება ხანგამოშვებით მთელი დღის განმავლობაში ისმოდაო.

ჰიტლერის შეხვედრა პეტენთან

ბერლინი, 24 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ დღეს საფრანგეთში ჰიტლერმა მიიღო მარშალი პეტენი. საუბარს დაესწრნენ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი და საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლავალი.

დაიღუპა ინგლისის ავიაციის ვიცე-მარშალი ბლონტი

ლონდონი, 24 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ საჰაერო კატასტროფის დროს დაიღუპა ინგლისის ავიაციის ვიცე-მარშალი ბლონტი. იგი ერთ დროს სარდლობდა ინგლისის სამხედრო - საჰაერო ძალებს საფრანგეთში.

ამერიკის სამხედრო ძალების გაძლიერება ფილიპინებზე

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ფილიპინებზე იგზავნება ავიაგამანადგურებელთა ორი რაზმი. სამხედრო სამინისტროს ეს განცხადება გამოქვეყნდა მას შემდეგ, რაც სამხედრო მინისტრი სტიმსონი ეთათბირა ფილიპინების წარმომადგენელს ვაშინგტონში ელიზალდეს. ამჟამად ფილიპინის კუნძულების გარნიზონი 24 ათასი კაცისაგან შესდგება. უპასუხა რა პრესის წარმომადგენელთა შეკითხვაზე, დაიცავენ თუ არა შეერთებული შტატები ფილიპინის კუნძულებს, საზღვაო მინისტრმა ნოქსმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტი დაიცავს შეერთებული შტატების ყველა სამფლობელოს. ნოქსმა უარჰყო ხმები, თითქოს ამჟამად იხილავდნენ საკითხს, რომ ამერიკის ფლოტი „კეთილი სურვილის“ მისიით გაიგზავნოს ავსტრალიასა და სინგაპურში. შემდეგ ნოქსმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დახმარებას უწევენ ლათინური ამერიკის ქვეყნების თავდაცვის განმტკიცებას და უკვე გაგზავნეს ზოგიერთ ამ ქვეყანაში ზარბაზნები და სხვა იარაღი, გარდა სამხედრო გემებისა. ნოქსმა დაადასტურა, რომ ჯავშნის არასაკმაო წარმოება ამერიკის შეერთებულ შტატებში აფერხებს სამხედრო - საზღვაო გემების მშენებლობის პროგრამის შესრულებას.

ამავე სააგენტოს ცნობით, სახელმწიფო მდივანმა ჰელმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ფილიპინებზე სტოვებენ 10 სამხედრო თვითმფრინავს, რომლებიც ტაიში უნდა გაგზავნილიყო.

რუზველტის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ რუზველტმა ფილადელფიაში რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა. პრეზიდენტის არჩევნების კამპანიასთან დაკავშირებით რუზველტს განზრახული აქვს სულ ხუთჯერ წარმოსთქვას სიტყვა. ფილადელფიაში წარმოთქმული სიტყვა მისი პირველი გამოსვლაა. რესპუბლიკური პარტიის იმ ბრალდების პასუხად, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უცხოეთის სახელმწიფოებთან საიდუმლო შეთანხმებანი დასდო, რუზველტმა განაცხადა: მთავრობას არავითარი საიდუმლო ხელშეკრულებანი არ დაუდვია და რომელიმე სხვა მთავრობის წინაშე არავითარი ისეთი საიდუმლო ვალდებულება არ უკისრნია, რომელიც რაიმე ომში ამერიკის შეერთებული შტატების ჩამბას ითვალისწინებდესო. შემდეგ პრეზიდენტმა უპასუხა იმ ბრალდებას, რომ მთავრობას სურს ამერიკის შეერთებული შტატები ომში ჩაბასო. რუზველტმა განაცხადა, რომ იგი დემოკრატიული პარტიის პლატფორმაზე დგას; ეს პარტია ეწინააღმდეგება „ცხელ“ ომებში ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობის წინააღმდეგ გამოდისო. ამასთან დაკავშირებით, ბატონმა რუზველტმა ალბათ ასეთმა აღნიშნა, რომ საჭიროა შეიქმნას მძლავრი თავდაცვა, „რომელიც ამ ნახევარსფეროში მშვიდობიანობისა და უშიშროების საუკეთესო გარანტიას წარმოადგენს“. რესპუბლიკელთა იმ ბრალდების პასუხად, რომ „ახალი კურსის“ პოლიტიკამ ამერიკის შეერთებული შტატების საქმიან ცხოვრებას ზიანი მიაყენაო, რუზველტმა მოიყვანა ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მატულობს სამრეწველო კომპანიების ყოველდღიური მოგება, რაც ახლა 4 მილიარდ დოლარს შეადგენს, აგრეთვე ცნობები ამერიკის მრეწველობის პროდუქციის ზრდის შესახებ. დასასრულ რუზველტი შეჩერდა მთავრობის ზოგიერთ შინაპოლიტიკურ ღონისძიებაზე.

უეღესის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ უელესმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა: „ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვა მოითხოვს, რომ ჩვენ შეგვეძლოს ახალი ქვეყნის ყოველ ნაწილზე თავდასხმის მოგერიება ან შემოჭრის ცდის ჩაშლა. უკანასკნელმა ამბებმა გვიჩვენეს, რომ პანამის არხი და ამერიკის შეერთებული შტატები ვერ იქნებიან უსაშიშრო მდგომარეობაში, თუ ჩვენი სამხრეთელი მეზობლების ტერიტორია საკმაოდ დაცული არ არის, ხოლო ასეთი დაცვა არ შეიძლება მიღწეულ იქნას ისე, თუ ამერიკის ყველა ქვეყანას შორის ლოიალური მეგობრობა არ იქნება“.

ამერიკის ქვეყნები, — სთქვა დასასრულ უელესმა, — საერთო სარგებლობას ნახავენ, თუ თავიანთ ქვეყნებში ხელს შეუწყობენ სამხედრო - სტრატეგიული მასალების, მათ შორის კაუჩუკის, მარგანეცის, ქინაქინის, კალის, ქრომისა და ქერელის წარმოებას.

ყუმბარსაფარებში ლონდონელთა კვების პრობლემა

ლონდონი, 24 ოქტომბერი (საკდესი). ინგლისის სასურსათო მომარაგების სამინისტროს წარმომადგენელმა 22 ოქტომბერს განაცხადა, რომ სამინისტრომ მიიღო ზომები, რათა მოაწყოს ლონდონის მოსახლეობის კვება ქალაქის 360 ყუმბარსაფარში, სადაც თავს აფარებს 120 ათასი კაცი. ბევრ მათგანში მოსახლეობას შეუძლია მიიღოს ცხელი საჭმელი. სხვა ადგილებში უახლოეს რესტორანებთან დადებულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ ისინი მუშაობას დაიწყებენ დილაადრიან. ბუფეტების პატრონებს დახმარებას აღმოუჩენენ იმისათვის, რომ დიდ ყუმბარსაფარებში მოაწყონ ბუფეტები. უფრო პატარა ყუმბარსაფარებში მოეწყობა თვითმომსახურება.

ყუმბარსაფარებში მყოფთ დიდი დაღლილობა ეტყობათ. ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრება ძალიან ძნელია. მოსახლეობა მუდამ დაძაბულ მდგომარეობაშია და ხშირად იმის დროც კი არა აქვს, რომ პირი დაიბანოს. ითვალისწინებს რა ყოველივე ამას სასურსათო მომარაგების სამინისტრო ჰქმნის ვიტამინიზებული საჭმლის მარაგს, რომელიც ხელმისაწვდომ ფასად მიეცემა მოსახლეობას.

ინგლისის კრეისერი არგენტინაში

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან (არგენტინა) იუწყება, რომ იქ მივიდა ინგლისის კრეისერი „ენტერპრაისი“, რომელს წყალწყვა 7 ათას ტონას უდრის. კრეისერი 48 საათს დაჰყოფს ბუენოს-აირესში.

მდგომარეობა მექსიკაში

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ეხება იმ ცნობებს, რომ მექსიკამ გაუუქმა ნავთის კონცესია, რაც იაპონელებს ჰქონდათ მიცემული და უარი სთქვა იაპონიისათვის ჯართის მიყიდვაზე. გაზეთი სწერს, რომ ამა წლის გაზაფხულიდან დაწყებული მექსიკა სულ უფროდაუფრო ებმება ამერიკის ორბიტში. ახლადარჩეული პრეზიდენტი ავილა კამაჩო ცდილობს უზრუნველჰყოს ამერიკის შეერთებული შტატების კეთილგანწყობილი დამოკიდებულება.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ კორესპონდენტი მექსიკიდან იუწყება, რომ ახლადარჩეული პრეზიდენტის ავილა კამაჩოს რამდენიმე მეგობარი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, რათა „დაამშვიდონ“ პრეზიდენტის არჩევნებში დამარცხებული კანდიდატი ალმასანი და დაარწმუნონ იგი მექსიკაში დაბრუნდეს.

პ. რატიანი

საფრანგეთი დამარცხების შემდეგ

არასოდეს არ ყოფილა საფრანგეთი ასე სასტიკად დამარცხებული, როგორც ამჟამად. თვით ლუი-ბონაპარტის სამარცხვინო განადგურება პრუსიელების მიერ სედანთან 1870 წლის სექტემბერში ახლანდელ დამარცხებასთან შედარებით უმნიშვნელო ეპიზოდად გვეჩვენება. სულ რაღაც ერთი თვისა თუ თვენახევრის განმავლობაში ასეულ ათასობით ადამიანი დაიღუპა ბრძოლის ველზე. ორი მილიონი ფრანგი ახალგაზრდა ტყვედ არის წაყვანილი. ასეულობით სოფლები და ქალაქები ნანგრევებად არის გადაქცეული. მილიონობით ადამიანებმა მიატოვეს თავიანთი სახლკარი და უგზო-უკვლოდ დაეხეტებიან. ყველგან ტანჯვა და საშინელი მწუხარებაა. თავისუფლების მოყვარული ფრანგი ხალხი უაღრესად მძიმე და დამამცირებელ დღეებს განიცდის.

მაგრამ ნგრევა და გაპარტახება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ინგლისის სანაპირო არტილერია და თვითმფრინავები განუწყვეტლივ უშენენ ყუმბარებს საფრანგეთის ოკუპირებული ზონის ქალაქებსა და სოფლებს. ახლა ისინი ანგრევენ იმას, რაც ჯერ კიდევ გადარჩა დაუნგრეველი.

საფრანგეთის მთელი ტერიტორია ამჟამად გაყოფილია ორ ნაწილად: ოკუპირებულ და არაოკუპირებულ ზონებად. მათ შორის ყოველგვარი კავშირი ფაქტიურად გაწყვეტილია, რაც კიდევ უფრო ამწვავებს არსებულ სიძნელეებს. შექმნილ ვითარებაზე რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, საკმარისია ითქვას, რომ გერმანელების მიერ ოკუპირებული ტერიტორია შეადგენს საფრანგეთის მთელი ტერიტორიის ნახევარზე გაცილებით მეტს და აქ ცხოვრობს 27 მილიონზე მეტი ადამიანი, მაშინ როდესაც არაოკუპირებულ ზონაში ცხოვრობს მხოლოდ 14 ნახევარი მილიონი ადამიანი, ანუ საფრანგეთის მთელი მოსახლეობის დაახლოვებით 30 პროცენტი. არაოკუპირებულ ზონაში თითქმის სრულიად არ არის ქვეყნის ეკონომიკისათვის აუცილებელი ისეთი ლითონები, როგორიცაა თუჯი, ფოლადი და რკინის მადანი. ხოლო რაც შეეხება ქვანახშირს, — აქ მისი საერთო მოპოვების მხოლოდ 20 პროცენტია. იმის გამო, რომ არ მოიპოვება ნედლეული და სათბობი, აგრეთვე ტრანსპორტის დეზორგანიზაციის გამო, შეუძლებელი ხდება სამრეწველო საწარმოების ამუშავება, რაც თავის მხრივ ადიდებს უმუშევრობას. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ არაოკუპირებულ ტერიტორიაზე დაეხეტება რამდენიმე მილიონი უსახლკარო ლტოლვილი, რომლებიც ბელგიიდან და ჩრდილოეთ საფრანგეთიდან გაუქცნენ ხოცვა - ყლეტას, ხოლო არმიის დემობილიზაციის შედეგად განთავისუფლდა 3 მილიონზე მეტი კაცი, რომლებსაც აგრეთვე არა აქვთ სამუშაო, — სურათი მეტად შემაძრწუნებელი იქნება.

უაღრესად მწვავედ დგას მოსახლეობის სურსათით მომარაგების საკითხი. სახელმწიფოში არ მოიპოვება სურსათის რაიმე მარაგი და უკვე ამჟამად მკაცრად ნორმირებულია საკვები პროდუქტების გაცემა. ინგლისის საზღვაო ბლოკადა შეუძლებელს ხდის სხვა ქვეყნებიდან სურსათის შემოზიდვას. ზამთარი უკვე კარზეა მომდგარი და ფრანგი ხალხი საშინელი შიმშილის წინაშე დგას.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, საფრანგეთს ჯერ კიდევ არა აქვს ზავი. იგი იძულებულია, იხადოს ფული და სურსათი გერმანიის საოკუპაციო არმიის შესანახად ინგლის-გერმანიის ომის დამთავრებამდე. ამავე დროს არავინ იცის, როდის დაიდება საბოლოო ზავი ან როგორი იქნება იგი. საფრანგეთს მომავალ საზღვრებზე ჯერ წარმოდგენაც არავისა აქვს.

ასეთ პირობებში სულ უფრო და უფრო გარკვევით გაისმის საფრანგეთის მშრომელი მასების პროტესტის ხმა. განაწამებ ხალხს სურს იცოდეს თუ რატომ მოხდა ასეთი საშინელი კატასტროფა, ვინ არის დამნაშავე მტაცებლური ომის გაჩაღებაში, საფრანგეთის ხალხის ინტერესების გამცემლობასა და ღალატში.

ამიტომ არის, რომ საფრანგეთის გაბატონებულ კლასებს იმდეცუდ სამხედრო მომზადებას, — თუმცა ეს მიზეზი საყოველთაოდ ცნობილი გახდა. აქ საკმაო როლი ითამაშა აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ საფრანგეთის ხელმძღვანელი წრეები — ისე კი არა, როგორც გერმანია — ძალიან ზერელედ მოეკიდნენ ევროპის საქმეებში საბჭოთა კავშირის როლისა და ხვედრითი წონის საკითხს. უკანასკნელი თვეების ამბებმა ცხადად დაგვანახვა რაღაც კიდევ უფრო მეტი. ამ ამბებმა ცხადჰყო, რომ საფრანგეთის მმართველი წრეები არ იყვნენ დაკავშირებულნი ხალხთან და არა მარტო არ ეყრდნობოდნენ მას, არამედ ეშინოდათ თავისი ხალხისა, რომელსაც დამსახურებული აქვს თავისუფლების მოყვარული ხალხის სახელი და აქვს ბრწყინვალე რევოლუციური ტრადიციები. ამაშია საფრანგეთის გამომქღავნებული სისუსტის ერთერთი სერიოზული მიზეზი“.

მთავრობას და საერთოდ მმართველ წრეებს იმდენად საფრანგეთის რესპუბლიკის დამარცხებისა როდი ეშინოდათ, რამდენადაც ნამდვილად რესპუბლიკური, დემოკრატიული საფრანგეთის გამარჯვებისა. აი რას სწერდა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ცნობილი რეაქციონერი ტიერრი მოლნიე ჟურნალში „ეე სიუი პარტუ“: „მემარჯვენე პარტიები იმ აზრისა არიან, რომ ომის შემთხვევაში არა მარტო საერთო განადგურება მოხდება, არა მარტო შესაძლებელი გახდება საფრანგეთის დამარცხება და გაპარტახება, არამედ აგრეთვე შესაძლებელი გახდება გერმანიის დამარცხებაც, რაც მომასწავებელი იქნებოდა ავტორიტარული სისტემის გაკოტრებისა, იმ სისტემისა, რომელიც მთავარი ჯებირია კომუნისტური რევოლუციის წინააღმდეგ და, თუ გნებავთ, ევროპის დაუყოვნებლივი ბოლშევიზაციის წინააღმდეგ. სხვანაირად რომ ვთქვათ საფრანგეთის დამარცხება იქნებოდა მხოლოდ საფრანგეთის დამარცხება, მაშინ როდესაც საფრანგეთის გამარჯვება იქნებოდა არა იმდენად საფრანგეთის გამარჯვება, რამდენადაც იმ პრინციპების გამარჯვება, რომლებიც სრულიად სამართლიანად მიაჩნიათ ისეთებად, რომლებსაც უშუალოდ მივყევართ საფრანგეთისა და ცივილიზაციის დანგრევისაკენ“.

მეორე რეაქციულ ორგანოში 1939 წლის დასაწყისში შეგვეძლო ამოგვეკითხა ასეთი ფრაზები: „დემოკრატიული საფრანგეთის ყოველგვარი გამარჯვება რეგრესი იქნებოდა ცივილიზაციისათვის“ ან „თუ უახლოესი ომი არ მოახდენს საფრანგეთში დემოკრატიის ლიკვიდაციას, მაშინ უმჯობესია კაპიტულაცია მოვახდინოთ“.

ასე მსჯელობდნენ საფრანგეთის რეაქციონერები, მემარჯვენე პარტიები. ფაქტიურად მათ მხარში ედგნენ რადიკალ-სოციალისტური და სოციალისტური პარტიები სახალხო ფრონტის გამყიდველების—დალადიესა და ბლიუმის მეთაურობით. ყველა მათ — საფრანგეთის ბურჟუაზიის ამ ლაქიებს აფრთხობდათ ის აზრი, რომ შესაძლებელია ომში საფრანგეთმა გაიმარჯვოსო, რასაც მათი აზრით შედეგად მოჰყვებოდა სახალხო ფრონტის იდეების, დემოკრატიული იდეების გამარჯვება.

ამიტომ იყო, რომ არავინ არ ზრუნავდა „მაჟინოს ხაზის“ გაგრძელებაზე ბელგიის საზღვრის გასწვრივ, ან სამხედრო თვითმფრინავების რიცხვის გადიდებაზე, მაშინ როდესაც მთავრობა განსაკუთრებული მზრუნველობით აგროვებდა მავთულის ხლართებს, რომლებსაც დაპატიმრებულ მუშათა საკონცენტრაციო ბანაკების შემოსაღობავად იყენებდნენ.

ომის დაწყების პირველ თვეებში საფრანგეთის გაზეთები სავსე იყო ოხრანკის ცნობებით კომუნისტებისა და სახალხო ფრონტის მომხრე მუშების დაპატიმრების შესახებ, საწარმოებიდან მუშების მასობრივად დათხოვნის შესახებ, მაშინ, როდესაც გენერალური შტაბის ცნობები გამუდმებით იუწყებოდნენ ერთსა და იმავეს: „ფრონტზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარაო“. მთავრობა, იმის მაგიერ, რომ მოეხდინა სახელმწიფოს მთელი რესურსების მობილიზაცია, დაარაზმა ერის სასიცოცხლო ძალები კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, ყოველნაირად აფერხებდა სამხედრო საწარმოების მუშაობას, ერეკებოდა რა იქიდან და ამწყვდევდა ციხეში საუკეთესო, კვალიფიციურ მუშებს, „ინტერნაციონალის“ სიმღერისათვის, ამართული მუშტისათვის (სახალხო ფრონტის მისალმება) და უბრალო სიტყვის თქმისთვისაც კი. საფრანგეთის მთავრობა აშკარად უთხრიდა ძირს თავისი სახელმწიფოს ნაციონალურ ძლიერებას. და ამას იგი სჩადიოდა თავისი ვიწრო კლასობრივი ინტერესებისათვის. დაიღუპოს საფრანგეთი, ოღონდ ნუ დაიღუპება კაპიტალისტთა კლასი, ნუ გაიმარჯვებს სახალხო ფრონტი, ნუ გაიმარჯვებს დემოკრატია, — ასეთი იყო საფრანგეთის ბურჟუაზიის სახელმძღვანელო ლოზუნგი.

ამის შემდეგ გასაკვირი აღარ არის სწრაფი და უეცარი კაპიტულაციის ფაქტი. საფრანგეთის მმართველ წრეებში გერმანიის დროებითი ზავის პირობები ძმაყოფილებით მიიღეს. გაკოტრებულმა პოლიტიკოსებმა და მათმა ბატონებმა ბოლოს იხილეს ის, რასაც მრავალი წლის განმავლობაში ამზადებდნენ თავიანთი მოქმედებით.

ამჟამად საფრანგეთის ბურჟუაზია ყოველნაირად ცდილობს ომში დამარცხების ფაქტი და ის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც ამის შედეგად საფრანგეთში შეიქმნა, გამოიყენოს დემოკრატიის ყოველგვარი ნასახის მოსასპობად, მასებში კომუნისტური პარტიის სულ უფრო მზარდი გავლენის წინააღმდეგ საბრძოლველად. რეაქციონერები ცდილობენ მოსპონ ფრანგი ხალხის კულტურა, და გადაისროლონ სახელმწიფო უკან, შუასაუკუნეობრივი სიბნელისაკენ, რათა შეინარჩუნონ თავიანთი გაბატონებული მდგომარეობა და კვლავინდებურად დაუსჯელად აწარმოონ მშრომელთა ულმობელი ექსპლოატაცია. საფრანგეთის ბურჟუაზია გადადის თავისი დიქტატურის დამყარების აშკარა რეაქციულ ფორმებზე.

მიმდინარე წლის 10 ივლისს „ნაციონალურმა კრებამ“, ანუ სენატისა და დეპუტატთა პალატის გაერთიანებულმა სხდომამ, რომელსაც არ დასწრებია 363 სენატორი და დეპუტატი, ხმის უმრავლესობით (489 ხმით 80-ის წინააღმდეგ) მარშალ პეტენს გადასცა მთელი სახელმწიფო ხელისუფლება. პე

წარმატებით მოვემზადოთ პირუტყვის გამოზამთრებისათვის

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 8 ივლისის დადგენილების საფუძველზე თელავის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს საკოლმეურნეო მეცხოველეობის სულადობის ზრდისა და პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმეში.

1939 წლის ივლისიდან დღემდე თელავის რაიონის კოლმეურნეობებში ჩამოყალიბდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 115 ფერმა, ცხვრისა და თხის—36 და მეღორეობის—5. ამჟამად რაიონში შექმნილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 120 ფერმა 7364 სულით. ცხვრისა და თხის—129 ფერმა 80.000 სულით და მეღორეობის—20 ფერმა 2.217 სულით. რაიონში არ არის არცერთი ისეთი კოლმეურნეობა, სადაც ჩამოყალიბებული არ იყოს მეცხოველეობის ერთი ან ორი ფერმა.

კოლმეურნეობებში გაიზარდნენ სოციალისტური მეცხოველეობის მოწინავე ორგანიზატორები, რომელნიც დაეუფლნენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის სწორად გაძღოლის საქმეს. ამის შედეგია, რომ მეცხოველეობის განვითარების გეგმები წარმატებით სრულდება. რაიონის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობამ 14.364 სულს მიაღწია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 13.900-ისა, ცხვრისა და თხის სულადობამ გეგმას 14.680 სულით გადააჭარბა და ა. შ.

კისისხევის კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმამ, რომლის გამგედ 7 წელიწადია კოლმეურნე ნასყიდა აზნიაშვილი მუშაობს, პირუტყვის გაზრდის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, მიღებული ნამატი 100 პროცენტით გაზარდა. ასეთივე კარგი მაჩვენებლები აქვთ ნადარეულის ბერიას და ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებს.

ზემო-ალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც ლენინის ორდენოსანი ანდრო ბორძიკიძე ხელმძღვანელობს, მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა მეცხოველეობის განვითარების საქმეში. ცხვრის სულადობამ აქ 23.000-ს გადააჭარბა. მწყემსებმა დ. შველაშვილმა და სხვებმა ჰიღებული ნამატი 95-98 პროცენტით შეინარჩუნეს.

რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, ანხორციელებენ რა ამხ. ლ. პ. ბერიას მითითებას, შესამჩნევი წარმატებანი მოიპოვეს პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდის საქმეში. 1938 წელთან შედარებით წელს თვითეული ძროხის წველადობა 150—180 ლიტრით გაიზარდა. თვითეულ ცხვარზე მიღებულია 0,5 კილოგრამით მეტი მატყლი და 0,8 კილოგრამით მეტი ყველი. გაიზარდა პირუტყვის ცოცხალი წონა და გაუმჯობესდა ჯიშობრივი შემადგენლობა.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას პირუტყვის წარმატებით გამოზამთრება წარმოადგენს. ამ საკითხზე საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის ბიურომ და რაიაღმასკომის პრეზიდიუმმა დროულად დასახეს და გაატარეს საჭირო ღონისძიებანი. ლაფანყურის კოლმეურნეობა „შრომის ქვეყანამ“ (თავმჯდომარე — კაკაური) საკვების დასილოსების გეგმა 150 პროცენტით შეასრულა, შალაურის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ 160 ტონის ნაცვლად 200 ტონა საკვები დაასილოსა, სანიორის კოლმეურნეობა „პირველმა მაისმა“, კისისხევის, ქვემოხალაწანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებმა და სხვებმა დროულად დაამთავრეს სადგომების შეკეთება და ადგილზე საკვების მიტანა.

მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადებაში. 3.600 ტონის ნაცვლად რაიონში სულ დასილოსებულია მხოლოდ 2.200 ტონა საკვები. ჩამორჩენა გამოწვეულია ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარის აშკარა დაუდევრობით. ოქიოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობას გეგმით 65 ტონა საკვები უნდა დაესილოსებინა, ფაქტიურად კი არ დაუსილოსებია არც ერთი ტონა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნ. გამილაღიშვილს მიუხედავად მრავალი მითითებისა დასილოსების გეგმის შესრულებისათვის თავი არ შეუწუხებია. ასეთივე უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს საკვების დასილოსებაში ყარაჯალის და იყალთოს კოლმეურნეობებმა.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს პირუტყვის ბინებთან უხეში საკვების მიტანა. კურდღელაურის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე — ა. ჯიჯიშვილი) 2.180 ცენტნერი უხეში საკვებიდან პირუტყვის სადგომებთან დღემდე არც ერთი ცენტნერი არ მიუტანია, თივა აქ ცუდად დადგეს, რის გამოც იგი ლპება.

შალაურის კოლმეურნეობა „შრომის“ გამგეობას დღემდე არ უზრუნია პირუტყვის ბინების მოწყობისათვის. ცუდად ემზადებიან პირუტყვის გამოზამთრებისათვის აგრეთვე ნაფარეულის და ნასომხრის კოლმეურნეობები.

კარგი მდგომარეობა პირუტყვისათვის საზამთრო საძოვრებზე საკვების მომზადების მხრივაც არა გვაქვს. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში და შირაქში, სადაც რამდენიმე ათასმა ცხვარმა უნდა გამოიზამთროს, 4.000 ცენტნერი უხეში საკვები გვაკლია.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა გვაქვს კონცენტრირებული საკვების მომარაგების დარგში. კოლმეურნეობებმა ცუდი მოსავლის გამო ვერ შესძლეს კონცენტრირებული საკვების ფონდების გამოყოფა. ამ საქმეში ეფექტიური დახმარება უნდა აღმოვიჩინოს საქმიწსახკომმა.

რაიონს აკლია საზამთრო საძოვრები. 43000 სული ცხვრისათვის გვესაჭიროება არანაკლებ 20.000 ჰექტარი ფართობისა. ამ მიმართულებით მიწსახკომს დღემდე არ აღმოუჩენია ჩვენთვის ჯეროვანი დახმარება. აუცილებელია ამ საქმის დაჩქარებით მოგვარება.

თელავის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ახლა ყოველგვარ ზომებს ღებულობენ იმისათვის, რომ გამოასწორონ ეს ნაკლოვანებები და ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ზამთარს.

მ. ციხისთავი

თელავის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

პარტიული ცხოვრება

როგორ ანხორციელებს კონტროლს ნავთის სარეწაოს პარტორგანიზაცია

(ლანჩხუთი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულება საქნავთის სუფსის სარეწაოს პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი — გრ. ჩხეტიანი) ფართოდ გააცნო მუშა-მოსამსახურეებს.

პარტიულ კრებაზე 26 სექტემბერს მოისმინეს დირექტორის მოხსენება იმაზე, თუ როგორ სრულდება სარეწაოში 26 ივნისის ბრძანებულება. კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ (კოლლუტა და შრომის დეზორგანიზატორთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. თუ სუფსის ნავთის სარეწაომ პირველი კვარტალის გეგმა ბურღვის დარგში 63,5 პროცენტით შეასრულა, ხოლო ნავთის ამოღებისა — 47,7-ით, მესამე კვარტალში ბურღვის გეგმა 101 პროცენტით შესრულდა. ასევე წარმატებით შესრულდა ნავთის ამოღების გეგმაც.

8-საათიან სამუშაო დღეზე გადასვლამ საგრძნობლად შეამცირა მუშათა რაოდენობა (კალკეული ვახტების მიხედვით. თუ წინათ 4 ვახტი მუშაობდა, ახლა მუშაობს 3, ხოლო 13 მუშისაგან, რომელნიც შემცირებაში მოხვდნენ, ახალი ვახტი შეიქმნა ახალ ჭაბურღილზე. საგრძნობლად გაიზარდა სტახანოველთა და დამკვრელთა რაოდენობა. თუ 26 ივნისის ბრძანებულებამდე 301 სტახანოველი და 201 დამკვრელი იყო, ახლა სტახანოველთა რიცხვი 405-მდე გაიზარდა, ხოლო დამკვრელთა რაოდენობამ 330-ს მიაღწია.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია სისტემატურ კონტროლს უწევს იმას, თუ როგორ არის დატვირთული სამუშაო დღე (ალკეულ სახელოსნოებში, საამქროებში და ჭაბურღილებზე, სრულ 480 წუთს მუშაობს თუ არა თვითეული მუშა.

პარტიულმა ორგანიზაციამ გამოარკვია, რომ მექანიკურ სახელოსნოში 4 კაცს საღამოს (ვლაში უხდება მუშაობა, მათთან აღრიცხვა არ სწარმოებდა, არავინ უწევდა კონტროლს, თუ რომელ საათზე გამოდიოდნენ და როგორი დატვირთვით მუშაობდნენ. იყო შემთხვევა, როცა მუშა დეკანოზიშვილმა სამუშაო საათებში ორი საათი იძინა.

საამქროებში განყოფილებაში მუშაობის აღრიცხვა სრულებით არ ხდებოდა. ასეთივე მდგომარეობა იყო ურეკის თიხის დამამზადებელი ჭარხნის მშენებლობაზე. ყველა ეს ნაკლი აღინიშნა პარტიულ კრებაზე და მიღებულ იქნა ღონისძიებანი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. ამჟამად მდგომარეობა გამოსწორებულია.

მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ შემდეგი ფაქტი: პარტიულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ ყურადღება არ მიუქცევია იმისათვის, რომ მუშები მეორე და მესამე ცვლაში დაგვიანებით გადიან, რადგან სასადილო მოუქნელად მუშაობს და ვერ ასწრებს მუშებისათვის საჭმლის დროულად მიწოდებას. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ ამასწინათ ერთი ვახტი სამუშაოზე ორ საათამდე დაგვიანებით გავიდა.

პარტიული ორგანიზაცია კიდევ უფრო მეტად უნდა ჩასწვდეს წარმოების ეკონომიკას, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის რომ სამუშაო დროის არცერთი წუთი არ დარჩეს გამოუყენებელი.

ვ. მექვაბიშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით **საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხულია** მირიან ალექსის-ძე **დოლიძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1675391—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების უხეშად დარღვევისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

დავით მოსეს-ძე **კახიძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1937 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0929247 — როგორც სახალხო სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სპეკულაციისათვის; შალვა ალექსის-ძე **ჯგერენაია,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 2846776 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; გიორგი ლავრენტის-ძე **გურამიშვილი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1671765 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული ცილისწამებისათვის; გიორგი ნესტორის-ძე **ბარბაქაძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 3078143 — საკანდიდატო ბარათის დაკარგვისა და ქურდობისათვის; კლიმენტი ღენტორის-ძე **დვალი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 2844404—როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; ვენერა არჩილის-ასული **ბუსკოვაძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 3082820 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის. არშაკ ყაზარის-ძე **ახნაზაროვი** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0519215 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; ფაშა აგაის-ძე **ისაბეკოვი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 3328973 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; ნავასარდ მირზაჯანის-ძე **ოსიპოვი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 2857995—როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; სააკ არუთინის-ძე **არუთინოვი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1928 წლიდან, პარტბილეთი № 1505336 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული ცუდი ხარისხის პურის გამოშვებისათვის; ლევან ვასილის-ძე **შეთინიშვილი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2156393 — როგორც მსჯავრდადებული სამუშაოდან თვითნებურად წასვლისათვის; ივანე ალექსის-ძე **წიკლაური,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1526633 — როგორც მსჯავრდადებული პარტშესასვლელი გადასახადის გაფლანგვისათვის; არამ საკის-ძე **სააკიანი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 3307568 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული ცუდი ხარისხის პურის გამოშვებისათვის; ნატალია ზაქარიას-ასული **ებრალიძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2160409 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული.

ადამ მიცკევიჩი

(გარდაცვალებიდან 85 წლისთავის გამო)

გამოჩენილი პოლონელი პოეტი ადამ მიცკევიჩი დაიბადა 1798 წელს ლიტვაში, ქალ. ნოვოგრუდკაში, სადაც პოეტის მამა ვექილობდა. მიცკევიჩი სწავლობდა ვილნიუსის უნივერსიტეტში და იქ შევიდა ე. წ. ფილომატების წრეში. სწორედ ამ ხანებში მოხდა პოლონეთის მესამე დანაწილება, რომლის შემდეგ პოლონეთმა, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, შესწყვიტა არსებობა. ფილომატების წრეები, რომლებიც ნახევრად არალეგალურად არსებობდნენ, მიზნად ისახავდნენ დამოუკიდებელი პოლონეთის აღდგენას. უნივერსიტეტში სწავლისა და კაუნასში მასწავლებლობის პერიოდში ა. მიცკევიჩმა გამოსცა ლექსების ორი ტომი, რომლითაც უკვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება. ამ წიგნებით ა. მიცკევიჩი დაუკავშირდა რომანტიკულ სკოლას.

1822 წელს, ფილომატების წრის წევრები და მათ შორის ა. მიცკევიჩიც დააპატიმრეს. ციხემ, რომელშიაც ა. მიცკევიჩი შევიდა როგორც ახალგაზრდა მეოცნებე, დიდი გავლენა მოახდინა პოეტზე.

1824 წლის ოქტომბერში, ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, ა. მიცკევიჩი გადაასახლეს პეტერბურგში. იქ პოეტი დაუახლოვდა პუშკინს, დეკაბრისტებს ბესტუჟევსა და რილეევს, დაუმეგობრდა ვიაზემსკის, შევირევს, პოგოდინს, სობოლევსკის. ა. მიცკევიჩი ცხოვრობდა პეტერბურგში, მოსკოვში, ყირიმში. ეს პერიოდი ყველაზე უფრო ნაყოფიერია პოეტის ცხოვრებაში. მისი ყველაზე შესანიშნავი ნაწარმოებები სწორედ ამ ხანას ეკუთვნის. რუსეთის მაშინდელი ლიტერატურული საზოგადოებრიობა დიდად აფასებდა მიცკევიჩის შემოქმედებას. ამ ხანებში დასწერა მან ყირიმის სონეტები, მთელი რიგი ლირიკული და ეროტიკული ლექსები, პოემა „კონრად ვალენროდი“, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებად ითვლება.

1829 წელს ა. მიცკევიჩი გაემგზავრა უცხოეთში. პოეტი უკვე რომში იყო, როცა პოლონეთის 1830 წლის აჯანყების ამბავი გაიგო. მან მაშინვე მიაშურა სამშობლოს, მაგრამ სანამ პოლონეთში შესვლას მოახერხებდა, მეფის მთავრობამ ცეცხლითა და მახვილით ჩააქრო აჯანყება.

1832 წელს ა. მიცკევიჩი პარიზს გაემგზავრა. პოლონელ ემიგრანტთა ჯგუფების დაუსრულებელი დავა ცუდ გავლენას ახდენდა პოეტზე. იგი თანდათან დასცილდა თავის რომანტიკულ გატაცებას და მოექცა რელიგიური მისტიციზმის გავლენის ქვეშ. პოეტის მსოფლმხედველობის ამ პერიოდს ახასიათებს მისი ორი პროზაული წიგნი „პოლონეთის ხალხის წიგნები“ და „პოლონეთის ბალიგრძნობის წიგნი“. 1834 წელს გამოიდა მისი პოემა „პან ტადეუში“. რასაკვირველია, ბურჟუაზიულმა კრიტიკოსებმა მეტად გაბერეს ა. მიცკევიჩის მისტიკური მიდრეკილებანი. პოეტი, მიუხედავად ერთგვარი უიმედობისა, რომანტიკული აღფრთოვანების შენელებისა, უმოქმედობას არ მისცემია. 1846 წელს, როცა ევროპაში რევოლუციური მოძრაობის გაშლა დაიწყო, პოეტი კვლავ დაუბრუნდა რევოლუციურ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. 1847 წელს მას ვხედავთ იტალიაში, სადაც ადგენს ლეგიონებს იტალიის განთავისუფლებისათვის საბრძოლველად. 1855 წელს იგი სტამბოლს გაემგზავრა, რომ შეეკრიბა ლეგიონები პოლონეთის განსათავისუფლებლად, მაგრამ მალე გარდაიცვალა ხოლერისაგან.

გულწრფელად იბრძოდა რა პოლონეთის აღდგენისათვის, ა. მიცკევიჩი ვერ ერკვეოდა იმ ნამდვილ გზებში, რომელთაც შეეძლო მისი სამშობლოსათვის თავისუფლების მოპოვება. პოეტს სძაგდა მეფის თვითმპყრობელობა, რომლის წინააღმდეგ თავგამოდებით იბრძოდა. იმავე დროს მას უყვარდა რუსი ხალხი. თავის ნაწარმოებებში იგი სასტიკად ამათრახებდა მეფის ხელისუფლებას, იმავე დროს უდიდესი სიყვარულით ასწერდა რუსი ხალხის მძიმე ცხოვრებას და საჯაროდ აცხადებდა, რომ იგი იბრძვის არა რუსი ხალხის წინააღმდეგ, არამედ რუსი და პოლონელი ხალხის საერთო ბორკილების—მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამიტომ სარგებლობდა ა. მიცკევიჩი რუსეთის ხალხში უდიდესი სიყვარულით.

ა. მიცკევიჩის შემოქმედების სწორი შეფასება არ მოუცია ბურჟუაზიულ კრიტიკას. რეაქციული პოლონეთი ჩქმალავდა პოეტის რევოლუციურ აზრებს. ა. მიცკევიჩის პოეტურ მემკვიდრეობას უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, მას მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში ღირსეული ადგილი უჭირავს.

გ. ნარიძე

ვ. იმედაძე

იაკობ გოგებაშვილი და სომეხი ხალხი

გოგებაშვილი იყო დიდებული ქართველი პატრიოტი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთი მესაქე და მებაირაქტრე.

პატრიოტის მოვალეობის ამომწურავ და პირდაპირ კლასიკურ განმარტებას გვაძლევს გოგებაშვილი, როცა აღნიშნავს, რომ პატრიოტმა თავისი სიცოცხლის ყოველი წუთი დაკარგულად უნდა ჩათვალოს, თუ ის მიძღვნილი არ არის მისი მშობლიური ხალხისა და ქვეყნისადმი, რომ მამულიშვილი მზად უნდა იყოს ყოველ წუთში ღიმილით შესწიროს სამშობლოს თავისი სიცოცხლე.

მაგრამ რა ხასიათისაა ქართველთა მამულიშვილობა და რა მაღალი ზნეობრივი თვისება და შუქი ასხივოსნებს ამ პატრიოტიზმს? გოგებაშვილი სიამაყით და დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ქართველთა მამულიშვილობას „ისეთი სიკეთე ახლავს და ისეთი წმინდა თვისებით არის შემკობილი, რომ სწორედ ღირსია უფრო ბედნიერის სახარბიელო მომავლისა“. იაკობი სასტიკად ჰგმობს, დასკინის მეომარ, აგრესიულ ნაციონალიზმს, რომელიც ლამობს სხვის უბედურებაზე ააგოს თავისი ქვეყნის ვითომც ბედნიერება. ეს გზა მას მიაჩნია დამღუპველად და სამარცხვინოდ.

ქართველი პატრიოტების ჭეთილშობილი იდეა, ლამაზი ზრახვები, მათი იდუმალი ფიქრები და აზრები სულ სხვა იდეური საფუძველიდან გამომდინარეობენ. პატრიოტებს სურთ აღდგენა და დაცვა ქართველი ხალხის უფლებისა, ეროვნებისა, თვითმმართველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა, „რომლის გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა“, სურთ ქართველ ერსაც გაუკვლიონ „ფართო გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღეობისაო“. მაგრამ ქართველი ხალხის ეს სამართლიანი მოთხოვნილებანი, მისი ეროვნული ინტერესები სრულიად არ ეწინააღმდეგება სხვა ხალხების ინტერესებს და მოთხოვნილებებს, ქართველ პატრიოტებს ფიქრადაც არ მოსვლიათ თავისი ქვეყნისა და ერის გაბედნიერება სხვა ტომების, თავისი მეზობლების ხარჯზე. მათი დამცირება — დაკნინების საფასურით. არა, ქართველი პატრიოტების მიზნები და გეგმა საზრდოობს და სულდგმულობს წმინდა, ანკარა წყაროდან, პატიოსანი და კეთილშობილი იდეებით. შესანიშნავად გვისურათებს ქართველთა პატრიოტიზმს გოგებაშვილი: „ჩვენში პატრიოტობა სხვა თვისებისა, სხვა გვარის, ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას მამულის სიყვარულისასა. ამ გრძნობაში თავისთავის მეტი არა ურევია რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ იპოვება... ჩვენი მამულიშვილები ნატრულობენ ჩვენი ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გავლებული... ჩვენი მამულიშვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათის დამცირებით ჩვენი თავი აღვამაღლოთო“.

ქართველ-სომეხთ ურთიერთობის საკითხს ეხება გოგებაშვილი თავის ცნობილ შრომაში „რანი ვიყვითო გუშინ“. ეს შრომა გამოქვეყნდა 70-იან წლებში ჟურნალ „ივერიაში“ და მერმე 1892 წ. გამოვიდა ცალკე წიგნაკად. ამ ნაწარმოების ერთერთი ღირსშესანიშნავი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ რაც ქართველმა ერმა დედამიწის ზურგზე თავი შეიგნო-შეისწავლა, მის დეევიზად თავის დღეში არ ყოფილა რომელიმე ერის დათრგუნვა. ამ დებულებას გოგებაშვილი დასტურებს ქართველთა დამოკიდებულებით სომეხ მოსახლეობისადმი საქართველოში. გოგებაშვილს მოსწრებულად მოჰყავს ცნობილი ისტორიული ფაქტები ინგლის-საფრანგეთის ისტორიიდან. საფრანგეთში ჰუგენოტებს ართმევდნენ ყოველგვარ ადამიანურ უფლებებს და მათ ჟლეტდნენ კათოლიკეები („ცნობილი „ბართლომეს ღამე“). ინგლისში, პირიქით, პროტესტანტები უწყალოდ სდევნიდნენ და ხოცავდნენ კათოლიკეებს. ამ დროს კი საქართველოში სხვა სარწმუნოების წარმომადგენელი სომეხი გრიგორიანელი მოსახლეობა სარგებლობდა სრული რელიგიური თავისუფლებით და ქართველ-მართლმადიდებლებთან ყოველმხრივი თანასწორობით. „საქართველოში შემოხიზნული სომხები იყვნენ ყველა სფეროში გათანასწორებულნი ქართველებთან; ჰქონდათ მინიჭებული ყველა პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლება და ხშირად მემკვიდრეობით ეჭირათ უმაღლესი ადგილები ჩვენს სამეფოში“. ქართველ პატრიოტს კანონზომიერად მიაჩნია ეს მოვლენა. ის სამართლიანადაც ამაყობს ქართველი ხალხის ისტორიის ამ მრავალმნიშვნელოვანი მოვლენით, ოსტატურად უპირდაპირებს ამ მოვლენას განათლებულ ინგლის-საფრანგეთის ბარბაროსობას.

გოგებაშვილს მიზანშეწონილად და სამართლიანად მიაჩნია ქართველი ხალხის ასეთი დამოკიდებულება თავისი მოძმე ერისადმი. იგი უფრო შორს მიდის. მას — ილიასთან ერთად მიაჩნია, რომ ქართველი და სომეხი ხალხების დასუსტება-დაუძლურება შედეგია ოდესღაც მათ შორის არსებული მთლიანობის დარღვევისა. იმ მთლიანობის დარღვევისა, რომელმაც ორთავეს საშუალება მისცა უზრუნველეყოთ თავიანთი დამოუკიდებლობა და კეთილდღეობა. „მიმაჩნია ჩვენ ვალათ, — სწერდა გოგებაშვილი, — მოვაგონო სომხებს და ქართველებს, რომ ძველ ხანაში არსებული ერთი სარწმუნოების და მათ შორის სოლიდარობის გამო სომხეთიც და საქართველოც ყვავოდნენ შედარებით, რომ სხვადასხვა დროს დაღუპვა ძველად სომხეთის სახელმწიფოსი და ძლიერ დასუსტება საქართველოს სამეფოსი იყო პირდაპირი შედეგი იმ ბრძოლისა, რომელიც გაჩაღდა სომხეთის და საქართველოს შორის რელიგიური მთლიანობის დარღვევის ეკლესიათა განცალკევების შემდეგ“. როგორც ცნობილია, ამ რელიგიური უთანხმოების გამწვავებას მოჰყვა კულტურულ-პოლიტიკური თანამშრომლობის და ურთიერთობის შესუსტება, ამ რელიგიურ-ფანატიკურმა გართულებამ ჩაუშალა დავით აღმაშენებელს ქართველ-სომეხთა მყარი პოლიტიკურ-კულტურული მთლიანობის აღდგენის ცდები.

გოგებაშვილი აღსავსეა კეთილი და გულწრფელი გრძნობებით სომეხი ერის მიმართ. მას გულით სწადია ჩვენი მეზობელი ხალხის „ყველაზე ძვირფასი, ყველაზე უსაჭიროესი ინტერესების უზრუნველყოფა“. მას სურს ამ ხალხისათვის თავისუფალი, სრულიად შეუზღუდავი განვითარება და წინსვლა. გოგებაშვილის გულითადი სურვილები სომეხი ერისადმი გამომდინარეობენ არა მარტო მისი კაცთმოყვარეობის გრძნობიდან, არამედ სხვა, „სპეციალური“ მოსაზრებიდან. ასეთი მოსაზრება სამია: პირველი — ქართველ და სომეხ მემატიანეთა თქმულებები ქართველ-სომეხთა სისხლით ნათესაობის შესახებ დადასტურებულია უახლესი მეცნიერული გამოკვლევებით. მეორე — სომეხი ხალხი ისტორიულად ისევე მრავალტანჯულია, როგორც ქართველი ხალხი. ეს კი ხდებოდა ერთი და იმავე ისტორიული მიზეზებით; ბოლოს, მესამე — სომხობა, ისე როგორც ქართველობა, წარმოადგენს თავისებურ ხალხს, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ნიჭით დაჯილდოებულს. მას შეუძლია თავისი ეროვნული ძალების თავისუფალი განვითარების გზით, თავისი მოძმე მეზობლების მსგავსად, შეჰმატოს საკაცობრიო კულტურულ ზღვას თავის ნაყოფიერი აზრების, გრძნობების და მისწრაფებათა განსაკუთრებული თავისებური ნაკადი, ცხოველმყოფელი წყლის ნაკადი (იხ. «Правда о Тифлисе», გვ. 32).

გოგებაშვილის მხნე გამრჯელობას ქართველი ხალხის ბედნიერებისათვის გულდასმით და ყურადღებით ეკიდებოდნენ ჩვენი უშუალო მეზობლები, პირველ რიგში სომხობა. რასაკვირველია, ის, რაც ხდებოდა ქართველთა შორის და საქართველოში, ცხოველ ინტერესს იწვევდა სომეხ ხალხში.

ქართველ ხალხში პატრიოტული გრძნობის, ეროვნული თვითშეგნების გაღვივება შეუმჩნეველი არ რჩებოდა ჩვენი მეზობლებისათვის. ის სათანადო გავლენას მათზედაც ახდენდა, აღაფრთოვანებდა მათ, სათანადო ბიძგს აძლევდა მათს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ყველაფერი ეს ხდებოდა სწორედ იმ კეთილმეზობლობის პირობებში, რომელზედაც დიდმა ილიამ სთქვა: „ჩვენ სომხების არავითარი ღირსება, არავითარი სიკეთე არ გვშურს — პირიქით, თუ სიკეთე, ღირსება რამ სჭირთ, იგი ჩვენთვის მხოლოდ სანატრელია... ნატვრა კი — პატიოსნური სურვილია, მეც ის შევიძინო, რაც სხვას შეუძენია, მისდა სიკეთემდე, ღირსებამდე მივაღწიო“. ასეთივე ფიქრები, სურვილები და ზრახვები აღეძრებოდა ხოლმე მოძმე სომეხ ხალხს, მის მოწინავე შვილებს, როდესაც ისინი სიყვარულით უყურებდნენ გოგებაშვილის ბრძოლას ქართველი ხალხის ეროვნული აღორძინებისათვის. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

გოგებაშვილის ცნობილ შრომაზე „ბურჯი ეროვნებისა“, რომელიც მეორედ 1903 წელს შეესწულად გამოიცა, სომხურმა ჟურნალმა „მურჯ“ (ჩაქუჩი) 1904 წელს (№ 2) დაბეჭდა ბიბლიოგრაფიული წერილი. ამ წერილში არის სხვათა შორის შემდეგი მნიშვნელოვანი დებულება: „ქვეყნიერებაზე ძლიერ იშვიათად მოიპოვება ბ-ნ გოგებაშვილისთანა ბედნიერი პედაგოგი-მწერალი: იმის შედგენილი სახელმძღვანელო წიგნები ერთადერთი წყაროა, საიდანაც ყოველი ქართველი ბავშვი სწავლობს თავის დედაენას“.

გოგებაშვილის შესანიშნავი ნაწარმოები „იავ-ნანამ რა ჰქმნა“— გადათარგმნილ იქნა სომხურ ენაზე. სომხეთის პედაგოგიური საზოგადოებრიობა აღტაცებით შეხვდა მეზობელი ხალხის პედაგოგიური აზროვნების და ხელოვნების ამ შედევრის სომეხ მკითხველთათვის გამოცემას. სომხური პედაგოგიური ჟურნალი „პოსანქ“ („ტალღა“) სწერდა: „ამ წიგნაკის ავტორი ერთი საუკეთესო მწერალთაგანია. ის თავისი პაწაწა მოთხრობაში, რომლის უმთავრესი სუბიექტია პატარა და შემდეგ დიდი ქეთო, იმდენად მშვენივრად და მხატვრულად ხსნის იავ-ნანას საამურ ხმას, მის ღრმა შთაბეჭდილებას ბავშვის სულის და გონების ნაკეცებში, რომ ადამიანი აღტაცებაში მოჰყავს ავტორის ბავშვის სულის შთაბეჭდილების მაგდენად ღრმა შეთვისებას. „იავ-ნანამ რა ჰქმნა“ დაწერილია მშვენივრად და ადვილად გასაგებია“. ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ ამ ნაწარმოებში გოგებაშვილი ღაღადებს ხალხთა კეთილმეზობლობისა და მეგობრობის იდეას.

მწვავედ და მტკივნეულად იგრძნო ქართველმა ხალხმა თავისი ერთგული და ღირსეული მამულიშვილის დაკარგვა — გლოვობდა მთელი შეგნებული ქართველობა, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა. ქართველი ხალხის ეს ერთსულოვანი მწუხარება მშვენივრად გამოხატა დიდებულმა ქართველმა პოეტმა აკაკი წერეთელმა თავის სიტყვაში გოგებაშვილის დაკრძალვაზე. აი ამ დროს, მწუხარებისა და გლოვის დროს, სომეხი ხალხი, მისი პროგრესიული წრეები განიცდიდნენ მოძმე ერის ამ მწვავე გრძნობას.

„მძიმეა და მეტად სამწუხარო ჩვენი მეზობელი ქართველების დანაკარგი. ჩვენ ვიზიარებთ ჩვენთან ერთად ერთ ბ

„მონიტერი" საფრანგეთში არსებული ოპოზიციური განწყობილების შესახებ

ბოსტონ, 24 ოქტომბერი (საკ-დესი). ჰავასის სააგენტო კლერმონ-ფერანიდან გადმოგვცემს, რომ მთავრობის წრეებთან დაკავშირებული ადგილობრივი გაზეთი „მონიტერი" გაფრთხილების იძლევა: საფრანგეთში პეტენის ღონისძიებათა წინააღმდეგ მიმართული ოპოზიცია არსებობსო.

„თუ სურთ საგნებს თავისი სახელი უწოდონ, — სწერს გაზეთი, — უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს „ოპოზიცია", რა თქმა უნდა, იგი აშკარად არ იჩენს თავს. ეს არის ფარული „ოპოზიცია", რომელიც სულ სხვადასხვა ფორმით იმოსება. მთავრობა თავის მხრივ არ მოითმენს, რომ მის მოქმედებას ძველი რეჟიმის მომხრენი ხელს უშლიდნენ".

ღავალი ვიშიდან კვლავ გაემგზავრა

ბერლინი, 24 ოქტომბერი (საკ-დესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო ჟენევიდან გადმოგვცემს, რომ ლავალმა, რომელიც მოხსენების წარსადგენად გუშინ ვიშში დაბრუნდა, დღეს დილით ქალაქი კვლავ დასტოვა.

ადმირალ მიუზელიეს სიკვდილის განაჩენი გამოუგანეს

კლერმონ-ფერანი, 24 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს, ადმირალ მიუზელიეს, რომელიც გენერალმა დე-გოლმა „საფრანგეთის თავისუფალი სამხედრო-საზღვაო ძალების" სარდლად დანიშნა, საფრანგეთის სასამართლომ დაუსწრებლად სიკვდილის განაჩენი გამოუტანა.

თურქეთ-ფინეთის სავაჭრო მოლაპარაკება

სტამბოლი, 24 ოქტომბერი (საკდესი). სტამბოლში ჩამოვიდა ფინეთის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტის დირექტორი იალანტი. დელეგატებს შორის არიან ფინეთის ბანკის დირექტორი ენირე და ქაღალდის ფაბრიკების წარმომადგენელი. როგორც ერთერთმა დელეგატმა განაცხადა, ისინი სავაჭრო მოლაპარაკების გასამართავად ჩამოვიდნენ. ფიქრობენ, რომ ფინეთი ქაღალდის სანაცვლოდ დიდძალ თამბაქოს შეისყიდის. 23 ოქტომბერს საღამოს, დელეგაცია ანკარას გემგზავრა.

ინგლისის მიერ თურქეთში, იუგოსლავიასა და ბულგარეთში აკრედიტებულ ინგლისის დესპანთა არაოფიციალური თათბირი

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო სტამბოლიდან იუწყება, რომ გუშინ იქ დამთავრდა თურქეთში, იუგოსლავიასა და ბულგარეთში აკრედიტებულ ინგლისის დესპანთა არაოფიციალური თათბირი.

რუმინეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგები

ბუქარესტი, 24 ოქტომბერი (საკდესი). 22 ოქტომბერს, დილით, მომხდარმა მიწისძვრამ ბუქარესტში დიდი პანიკა გამოიწვია. ყველა ელოდა მიწისქვეშა ბიძგების განმეორებას — სკოლები, დაწესებულებანი და სახლები დაცარიელდნენ. გუშინდელი გაზეთები იუწყებიან, რომ იყო მცხოვრებთა მძიმე დაშავების რამდენიმე შემთხვევა და რომ მიწიაძვრამ ნგრევა გამოიწვია. ბუქარესტის ცენტრში ერთერთი სახლი დაინგრა, ბუზაუს ბევრ შენობაში ჭერი ჩამოინგრა, ბირლადში 2 კაცი დაიღუპა და რამდენიმე დაშავდა, იასში დაინგრა ეკლესია და რელსებიდან გადავარდა ტრამვაი.

ინგლისის საგარეო ვაჭრობა

ლონდონი, 24 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს იუწყება: მიუხედავად იმისა, რომ მტერი ხელს უშლიდა, ინგლისის საგარეო ვაჭრობა სექტემბერში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. სექტემბერში ინგლისიდან გატანილ იქნა 131.177.290 გირვანქა სტერლინგის საქონელი მაშინ, როცა გასული წლის აგვისტოსა და სექტემბერში საქონლის ექსპორტი შეადგენდა შესაბამისად 132.554.329 და 123.087.245 გირვანქა სტერლინგს. რეექსპორტი მიმდინარე წლის სექტემბერში შეადგენდა 11.191.742 გირვანქა სტერლინგს. შარშან იგი უდრიდა 11.391.968 გირვანქა სტერლინგს აგვისტოში და 12.370.678 გირვანქა სტერლინგს სექტემბერში. მიმდინარე წლის სექტემბერში ინგლისში შემოტანილია 180.632.023 გირვანქა სტერლინგის საქონელი. შარშან აგვისტოში შემოზიდულ იქნა 195.019.856 გირვანქა სტერლინგისა და სექტემბერში 149.894.916 გირვანქა სტერლინგის საქონელი.

ჯოეს ნიკოლსის განთავისუფლება პაციმრობიდან

ლონდონი, 24 ოქტომბერი (საკდესი). სამი თვის პატიმრობის შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს გაანთავისუფლონ უელსელი პოეტი ნიკოლსი და მისი შვილი. ამ სამი თვის განმავლობაში ინგლისის მუშებმა და კულტურულმა ორგანიზაციებმა ფართო კამპანია გააჩაღეს ნიკოლსისა და მისი შვილის დასაცავად. ამ კამპანიამ გავლენა მოახდინა ხელისუფალთა გადაწყვეტილებაზე მათი განთავისუფლების შესახებ.

მოკლე ცნობები

○ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ გაანაწილა 85,5 მილიონი დოლარის ახალი დაკვეთები. ამ თანხიდან 73 მილიონი დოლარი საარტილერიო დაკვეთებზე მოდის.

○ იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ რეკვიზირებული 110 თვითმფრინავი, რომლებიც შვეიცას ჰქონდა შესყიდული, გემებით იგზავნება ფილიპინის კუნძულებზე (ამერიკის შეერთებული შტატების კოლონია).

○ მზარდი უმუშევრობისა და ცუდი მოსავლის შედეგად პორტუგალიის ბევრ პროვინციაში მოხდა მოსახლეობის შეტაკება პოლიციასთან.

○ შვეიცის ყველა ფაბრიკამ, რომელიც მარგარინს ამზადებს, გადასწყვიტა შეაჩეროს მარგარინის წარმოება, რადგან სიძვირის გამო მარგარინს არავინ ყიდულობს. უმუშევრად რჩება 1500-მდე მუშა.

○ ნიუ-იორკის გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ დამნაშავედ სცნო 10 კაცი, რომლებმაც უარი განაცხადეს რეგისტრაციაში გატარებულიყვნენ სამხედრო ბეგარის კანონის შესაბამისად. რეგისტრაციაზე უარის თქმისათვის მაქსიმალურ სასჯელად გათვალისწინებულია 5 წლის პატიმრობა და 10 ათასი დოლარი ჯარიმა.

უკრაინა - საქართველო მატჩი მძლეოსნობაში

27-28 ოქტომბერს, თბილისში, ლ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე ჩატარდება ტრადიციული შეხვედრა მძლეოსნობაში უკრაინისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის.

უკრაინიდან შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ამ ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები და რეკორდსმენები: სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები რაიესკი, სინიცკაია, სველიევი და სხვ.

გუშინ ფიზკულტურის სრულიად-საქართველოს კომიტეტმა დეპეშა მიიღო იმის შესახებ, რომ ამ მატჩში მონაწილეობისათვის მოსკოვიდან თბილისს ჩამოვლენ სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები — ჭოკით ხტომის ჩემპიონი ოზოლინი („დინამო"), სსრ კავშირის სპორტის ოსტატი რეკორდსმენი სტეპანჩენოკი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი მიტროპოლსკი.

საქართველოდან შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ სპორტის ოსტატები ძმები დიაჩკოვები (ჭოკით ხტომა), მსოფლიო რეკორდსმენები დუმბაძე და სევრიუკოვი. სსრკ რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში ათანაელოვი, საქართველოს რეკორდსმენი შორ დისტანციაზე რბენაში გ. ვერჩენკო (ბათუმი).

უკრაინიდან შეჯიბრებაში მონაწილე გუნდი შესდგება 25 კაცისაგან, ამდენივე მონაწილისაგან შესდგება საქართველოს გუნდი.

შეჯიბრება დაიწყება დღის 12 საათზე. მთავარ მსაჯად დამტკიცებულია ამხ. კ. ბალიშკოვი.

სსრკ პირველობა ფეხბურთში

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება. მეექვსე თვეა ერთმანეთს ეჯიბრება საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ცამეტი უძლიერესი სანიმუშო გუნდი.

სექტემბრამდე გათამაშების ლიდერი იყო ლენინგრადის „დინამო", რომელიც 1939 წლის გათამაშებაში ამ დროისათვის მხოლოდ მეცხრე ადგილზე იყო, შუა ზაფხულში დაწინაურდა „სპარტაკი". მაგრამ ჩემპიონმა შემოდგომაზე განიცადა რამდენიმე დამარცხება, რითაც დაკარგა ჩემპიონობის შენარჩუნების შანსები. თბილისის „დინამოსთან" წაგების შემდეგ „სპარტაკმა" მოიგო „სტახანოვეცთან" (2:1) და „ზენიტთან" (2:0) და 21 თამაშიდან შეაგროვა 27 ქულა. „სპარტაკს" დარჩა 3 თამაში — „ცდკა"-სთან, „ლოკომოტივთან" და კიევის „დინამოსთან", სამივე მატჩის მოგების შემთხვევაში, რაც მეტად საეჭვოა, „სპარტაკს" შეუძლია მოაგროვოს მხოლოდ 33 ქულა.

დღეისათვის პირველობის გათამაშებაში პირველ ადგილზე მიდის მოსკოვის წითელი არმიის ცენტრალური სახლის („ცდკა") ფეხბურთელთა სანიმუშო გუნდი, რომელსაც უკვე ჩატარებული აქვს 21 თამაში და შეგროვილი აქვს 29 ქულა, მაგრამ „ცდკა" დაკარგული ქულების მხრივ ჩამორჩება მოსკოვისა და თბილისის „დინამოს" გუნდებს. სხვათა შორის, „ცდკა"-მ მიმდინარე წლის გათამაშებაში დაიმახსოვრა „ყიმების „რეკორდსმენის" სახელი, გათამაშების „ხერილში 10 მოგებასთან ერთად მას უწერია 9 „ყიმი, რომლებიც შესამჩნევად მოქმედებენ მის შანსებზე პირველობის მოსაპოვებლად. ღვინო უნდა აღინიშნოს, რომ მას დარჩენილი აქვს სამი მეტად საპასუხისმგებლო მატჩი — „სპარტაკთან" და მოსკოვისა და თბილისის „დინამოსთან".

ჩემპიონის დროშისათვის შეუპოვრად ებრძვის მოსკოვის „დინამო", რომელმაც „სტახანოვეცთან" დამარცხების შემდეგ ზედიზედ მოიგო ორი მეტად საპასუხისმგებლო მატჩი—20 ოქტომბერს თბილისის „დინამოსთან" ანგარიში 2:0, ხოლო 24 ოქტომბერს — ლენინგრადის „დინამოსთან" ანგარიშით 3:0. ამრიგად, მოსკოვის „დინამოს" ამჟამად 20 თამაშიდან 28 ქულა აქვს.

პირველობის გათამაშების ლიდერთა ჯგუფშია თბილისის „დინამოც", რომელსაც მოსკოვის „დინამოს" მსგავსად დაკარგული აქვს ქულების ყველაზე ნაკლები რაოდენობა და 20 თამაშიდან 28 ქულა აქვს. ამჟამად თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები იმყოფებიან სტალინგრადში, სადაც 27 ოქტომბერს მეხვდებიან „ტრაქტორს".

უკანასკნელ სამ მატჩს თბილისის „დინამოელები ჩაატარებენ თავიანთ მოედანზე — 3 ნოემბერს შეხვდებიან „მეტალურგს", 10 ნოემბერს — „ცდკა"-ს, ხოლო 17 ნოემბერს მოხდება თბილისის „დინამოსა" და „მეტალურგის" პირველი წრის შეხვედრის გადათამაშება.

სასპორტო ქრონიკა

ველოსპორტი

27 ოქტომბერს დიღომში ტარდება ველო-კროსი თბილისის პირველობისათვის. შეჯიბრება მოხდება საგზაო და სასპორტო ველო-მანქანებით. კროსის მანძილი მამაკაცთათვის სასპორტო მანქანებზე განსაზღვრულია 40 კილომეტრით, საგზაო მანქანებზე—26 კლმ.

ქალთათვის კროსის მანძილი 13 კილომეტრია.



ქუთაისი. სურათზე: ბაგრატის ტაძრის ...

ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა)

ი. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია

25 ოქტომბერს გაიხსნა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და მწერლის იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავს.

სესიაზე თავი მოიყარეს უნივერსიტეტის პროფესორებმა, პედაგოგებმა, მეცნიერმა მუშაკებმა და სტუდენტებმა.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა დოცენტმა დ. ყიფშიძემ.

სესიამ მუშაობის პირველ დღეს მოისმინა შემდეგი მოხსენებანი: „ი. გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრება" პროფ. გ. თავზიშვილისა, „ი. გოგებაშვილი და კ. უშინსკი" დოც. დ. ყიფშიძისა, „ი. გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება" პროფ. მ. ზანდუკელისა, „ი. გოგებაშვილი და სამუნებისმეტყველო მეცნიერება" დოც. პ. მეტრეველისა.

სესიის მეორე სხდომა შესდგება 26 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე. მოსმენილ იქნება პროფ. გ. ახვლედიანის, პროფ. ნ. კეცხოველის, პროფ. ლ. მელიქსეთბეგიანი, დოც. ს. ეაჩნაძის და სხვათა მოხსენებანი. (საქდესი).

ფილმი „სტალინურ ადგილებში"

ამჟამად თბილისში იმყოფება გადამღები ჯგუფი, რომელიც იღებს კინოსურათს „სტალინურ ადგილებში". ფილმის დამდგმელმა რეჟისორმა დ. დუბინსკიმ ჩვენ თანამშრომელს განუცხადა.

— ჩვენ მოფიქრებული გვაქვს შევქმნათ ისტორიულ - დოკუმენტალური ფილმი დიდი სტალინის შესახებ. ფილმი ასახავს ყველა მნიშვნელოვან პერიოდს, დაწყებული 1879 წლიდან 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ჩათვლით. ფილმის მთელ რიგ ადგილებში ნაჩვენები იქნება ამხანაგ სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა ამ პერიოდში.

ფილმისათვის გარდა თბილისისა გადაიღებენ გორს, ბათუმს, ბაქოს, ლენინგრადს და მის აღლომდებარე ადგილებს, აგრეთვე გადასახლების ადგილებს — სოლვიჩეგოდსკს, პოლარული წრის სოფელ კურეიკას და სხვ. კურეიკაში გადაღებული იქნება როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის პერიოდები.

ჯგუფი თბილისში გადაიღებს ყოფილ სასულიერო სემინარიას, სადაც ამხანაგი სტალინი სწავლობდა, პლეხანოვის ქუჩაზე მდებარე სახლს, აღლაბრის რესტავრირებულ სტამბას და სხვა ადგილებს, სადაც მოღვაწეობა უხდებოდა ამხანაგ სტალინს.

ფილმი იქნება სრულმეტროვანი და ძზად იქნება მიმდინარე წლის დეკემბერში. სცენარის ავტორები არიან ს. ვლადიმირსკი და ბ. ზისელმანი, რეჟ. დ. დუბინსკი, თანარეჟისორი ს. გურევიჩი, ოპერატორი გ. მოგილევსკი, კომპოზიტორი ვანო მურადელი. ფილმს უშვებს კინოსტუდია „მოსტექფილმი".

ახალი კინო-ფილმები

თბილისის კინოსტუდიის ქრონიკის სექტორი ამჟამად იფხაზეთში (გაგრის რაიონი) მცხოვრებ ესტონელ კოლმეურნეთა ცხოვრებიდან ამზადებს მხატვრულ კინონარკვევს „სალმე". მასში ასახული იქნება ესტონელ კოლმეურნეთა მიღწევები და საამური ცხოვრება, რაც მათ მოიპოვეს კოლექტიური შრომის შედეგად.

ფილმი „სალმე" გახმოვანებული იქნება რუსულ და ესტონურ ენებზე. ნაწილი გაიგზავნება ესტონეთის საბჭოთა რესპუბლიკაში. ფილმის რეჟისორია ალ. მამულაშვილი, ოპერატორი ნ. ნაგორნი. ფილმი მზად იქნება ნოემბრის ბოლო რიცხვებში.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შუქმენიღბვის სწავლება 24 ოქტომბრიდან გადადებულია სათანადო განკარგულებამდე და ჩატარდება უახლოეს დღეებში. საჭიროა ყველა დაწესებულების საწარმოს, სასწავლებლისა და სახმართველოების ხელმძღვანელებმა და თვითეულმა მოქალაქემ აქედანვე მიიღოს ყოველგვარი ზომა, რათა შუქმენიღბვის მომავალ სწავლებას სათანადოდ მომზადებული შეხვდეს და ადგილი არ ექნეს შუქმენიღბვის დისციპლინის დარღვევის არცერთ შემთხვევას.

მიუხედავად იმისა, რომ შუქმენიღბვის სწავლება გადადებულია, 24 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრამდე მთელს თბილისში, როგორც ეს ქ. თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის უფროსის № 156 ბრძანებაშია ნათქვამი, იწარმოებს ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის რაიონული სწავლება, რაც გამოიხატება შემდეგში: ქ. თბილისის მასშტაბით ღამის სრულ 7 საათზე მიცემული იქნება სიგნალი, რომელიც აუწყებს თბილისში „საშიში მდგომარეობის" გამოცხადებას. ამიტომ 7 საათსა და 15 წუთამდე ქუჩებში ჩვეულებრივად განათებულ პირობებში წყდება ყოველგვარი მოძრაობა, მოქალაქეები ვალდებული არიან დასტოვონ ქუჩები, მოედნები და სხვ. და თავი შეაფარონ მილიციის, სახლთმმართველობის, ადმინისტრაციის: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულთან დაკავშირებით ქრონიკის სექტორი უშვებს მხატვრულ ნარკვევებს: „საბჭოთა აჯარა" (რეჟ. შ. მართაშვილი, ოპერატორი ვ. კერესელიძე), „საქართველოს სამხედრო გზა" (რეჟ. ვ. ვალიევი, ოპერატორი ვლ. მიქაბერიძე) და „შემოდგომა კახეთში" (რეჟ. ირ. კანდელაკი, ოპერატორი ნ. ნაგორნი).

დღესასწაულის დღეებში გამოშვებული იქნება აგრეთვე 4 ჟურნალი, რომელშიაც შევა სიუჟეტები ჩვენი სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა დარგებიდან.

იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო საღამო

29 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, წერალთა ლოჟაში (მაჩაბლის ქ. № 14) კაიმართება დიდი ქართველი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწისა და მწერლის იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან ასი წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი პოეტი ირაკლი აბაშიძე.

მოხსენებას თემაზე: „იაკობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება" წაიკითხავს პროფ. გიორგი თავზიშვილი.

სიტყვებით და მოგონებებით გამოვლენ მწერლები: შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, შალვა რადიანი, ნინო ნაკაშიძე, იოსებ გრიშაშვილი, დიმიტრი ბენაშვილი, გიორგი კაკასიძე, ლევან მეტრეველი, თედო სახოკია, იოსებ მჭედლიშვილი და ილია სიხარულიძე.

ლექციები და მოხსენებები

29 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე ფილარმონიის დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 21) შესდგება პროფესორ **ი. ტალახაძის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა — **„ლენინურ-სტალინური მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ".**

ბილეთის ფასი 1 მანეთი.

ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროში 12-დან 6 საათამდე და 7-დან 9 საათამდე, და კომკავშირის საქალაქო რაიკომებში.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

28 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის სახ. თეატრის საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის პრსპ. 21) შესდგება პროფ. **კ. ბაქრაძის** ლექცია ქართულ ენაზე: თემა: **„მარქსიზმის ფილოსოფიური წინამორბედნი (ჰეგელი, ფეიერბახი)".**

ბილეთის ფასი 1 მან.

ბილეთები იყიდება შერიას სახ. რაიკომის პარტკაბინეტში დილის 9 საათიდან საღამოს 12 საათამდე, აგრეთვე ფილარმონიის სალაროში დილის 12 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლ. პ. ბერიას სახ. რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

28 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ენის, ისტორიისა და მატერიალიური კულტურის ინსტიტუტში (ლერმონტოვის ქ. № 3) წაკითხული იქნება შემდეგი მოხსენებები: **ან. ბოჟორიშვილი** — „მნიშვნელობა და გამოსახულება (ჰუსერლი)".

კ. მეგრელიძე — „შეგრძნებათა განვითარება ისტორიული თვალსაზრისით". დასწრება თავისუფალია.

მნახველთა უკეთ მომსახურების მიზნით ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის მუშაობა საღამოობით გაგრძელებულია ერთნახევარი საათით.

ა. წ. 27 ოქტომბრიდან ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი და ავლაბრის რესტავრირებული ბოლშევიკური სტამბა სამუშაო დღეებში, ორშაბათის გარდა, გახსნილი იქნება დღის 1 საათიდან საღამოს 10 საათამდე; კვირაობით მუზეუმი და ავლაბრის სტამბა გახსნილია დილის 10 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

მუზეუმის დარბაზებში, ინდივიდუალური მნახველების მომსახურებისათვის, შემოღებულია ექსკურსიის ხელმძღვანელთა და მეცნიერმუშაკთა მორიგეობა და კონსულტაციები.

ღღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სანკულტურის ქართული თეატრი — „ბრმა მუსიკოსი", მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „ქაჯანა" (მე-8 აბ.), **გრიბოედოვის** სახელობის — „დედინაცვალი" (აბ. გარეშე), **სომხური** დრამა — „კინტო" (მე-5 აბ. მე-3 წარმ.).

კინოებში: **რუსთაველის** სახ. — „ახალი დროება". **დღისით** — „საუცხოო ხომალდი", **ოქტომბერი** — „არსენა", **დამკვრელი** — „გრუნია კორნაკოვა", **დღისით** — „მინინი და პოჟარსკი", **კომკავშირელი** — „ცამეტნი", **ლუკუმბურგის** სახ. — „ვოლგა-ვოლგა", **სპარტაკი** — „ზელიმხანი", **კომინტერნი** — „გიული", **26 კომ.** სახ. — „უმზითვო პატარძალი", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „დუნაიზე", **განთიადი** — „მთის ნაკადი", **წითელი არმიის სახლი** — „განთავისუფლება", „ფეხბურთელები", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „მშვენიერი ვასილისა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

26 ოქტომბერს მე-9 აბ. 1 წარმ.
ქაქო ყაჩაღი

27 ოქტომბერს მე-11 აბ. 1 წარმ
ქაქო ყაჩაღი

29 ოქტომბერს
ევგენი ონეგინი

დასაწყისი 7 ს. 30 წ.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

26 ოქტომბერს
ბოგდან ხმელნიცკი

27 ოქტომბერს
გიორგი სააკაძე

29 ოქტომბერს
გიორგი სააკაძე

დასაწყისი 8 ს. 30 წ

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

26 ოქტომბერს **მადამ სან-ჟენ** | 27 ოქტომბერს **გიორგი სააკაძე** | 29 ოქტომბერს **ანრი სეპარ**

დასაწყისი 8 ს. 30 წ

27 ოქტომბერს დღის წარმოდგენა **კოლმეურნის ძოლაწინააღმდეგ**
დასაწყისი დღის 12 ს.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია

1940-1941 წ. წ. სეზონისათვის გამოშვებულია შეღავათიანი ინდივიდუალური აბონემენტები. დაკვეთების ძალებია წარმოებს რუსთაველის „აშუალებით და ფილარმონიის სალაროში.

სალარო ღიაა ყოველდღე დღის 12-დან 4 საათამდე და საღამოს 6-დან 10 საათამდე. ტელ. №№ 3-80-00 და 3-45-80

თამარ გვარაშვილი, ბაბო და მიხეილ მურვანიშვილები შვილებით იუწყებიან, რომ 27/X 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
ლევან პავლეს-ძე გვარაშვილის
ჯანაშვიდი. 8531

შვილი თინა საღარაძე, ძმები თეოფილე, სარდიონ, შალიკო, და სალომე, რძლები პელო, ცუცა, გოგუცა კაკაბაძეები იუწყებიან რომ 27/X ბათუმში დანიშნულია
მარო კაკაბაძის
ჯანაშვიდი. 8518

დედა ლუბა, და ნინო, სიძე ვანო ვაშალომიძე იუწყებიან, რომ 27/X 1 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია
თამრიკო ხუნდაძის
ჯანაშვიდი. 8527

მშობლები თამარ, კალე, და მერიკო, ძმა ავთანდილ გამცემლიძეები იუწყებიან, რომ 27/X 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ოსიკო გამცემლიძის
ჯანაშვიდი. 8529

მეუღლე ქსენია, დედა ოლღა, შვილები ციალა, ტოღო იუწყებიან, რომ 27/X 12 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია მასწავლებელ
გიორგი თეოდორეს-ძე ბალანჩივაძის
ჯანაშვიდი. 8530

სტალინის რაიონის მეოთხე პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ამავე რაიონის ჯანგანყოფილების გამგის ექიმ კ. ლიკლიკაძის დედის
ეკატერინე ნიკოლოზის-ასულ ლიკლიკაძის
გარდაცვალებას. 8528

მეუღლე ოლა, შვილები ექიმები გიორგი, ქსენია, ვალოდია ალადაშვილები, სიძე გ. ყანჩაველი იუწყებიან
სიმონ ნოდარის-ძე ალადაშვილის
გარდაცვალებას. ჯანაშვიდი 26/X-7 ს. გამოსვენება 27/X 4 ს. მარტყოფის, 13, (ავლაბარი). 8533

მშობლები სოფიო, პეტრე, და ეკენია, სიძე გიორგი ვახრამიშვილი შვილებით, ბიძა კირილე ცოლშვილით იუწყებიან
პავლე პეტრეს-ძე კეზერელის
გარდაცვალებას. ჯანაშვიდი 26/X 8 ს. გამოსვენება 27/X 3 ს. არაგვის შესახვ. 3. 8542

სიხარულიძე, გვინჩიძე, გორგიაშვილი, ტაბატაძე, სიდამონიძე, გიორგობინი, სარქისოვი, მიქელაძე, მურუსიძე, შალამიანი იუწყებიან
პავლე კეზერელის
გარდაცვალებას. გამოსვენება 27/X 3 ს. არაგვის, შესახვ. 3. 8543

მშობლები დათიკო, ვერა, და ლალა, ბაბუა ერმალო, ბებია ივლიტე, ბიძა შალიკო, მამიდები კატუშა, ვერიჩკა, ანიჩკა, თამარა, თინა თავისი ქმრებით იუწყებიან
ჯუმბერი (ჯუდუ) ქართველიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება სამხედრო, 13, 27/X, დღის 4 ს., დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

მარიამ დავითის-ასული დადიანი იუწყება, რომ 27/X 2½ ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია შვილის
გივი შოთას-ძე დადიანის
სამოქალაქო პანაშვიდი. 8522

მეუღლე ელისაბედ, შვილები ბაბუცა, სიმონ, ვარლამ, გაიანე, რძლები ქსენია, ნინო კიზირიები იუწყებიან
ნიკო ზურაბის-ძე კიზირიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ნოიერში. 8536

მეუღლე ელენე, შვილები გიორგი, გოგი, ლეილა იუწყებიან
სიმონ ივანეს-ძე წერეთლის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 26/X 7 ს. გამოსვენება 27/X აკოფიანის, 2, ვაკის სასაფლაოზე. 8550

ძმები ვასო ცოლით სონიათი შვილით კოლიათი, გრიშა და ქეთო ქმრით მიშათი შვილებით გივით და მერით იუწყებიან
ამბროსი (აბიბო) ქაპიანიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი კუკიის სასაფლაოზე 27/X 4 საათზე დაკრძალვა 5 საათზე.

მშობლები მადლენა, ანტონ გვაზავა შვილით გუგათი იუწყებიან, რომ 27 ოქტომბერს 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
გიზი გვაზავას
სამოქალაქო პანაშვიდი.

შვილები ავთანდილ, ალექსანდრა და ბაბილინა იუწყებიან, რომ 27/X 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ქრისტინე (ალმასო) როსტომის-ასულ ჭლიკაძის
პანაშვიდი. 8548

მეზობლები ანეტა შანიძე, მანია, ჯვებე ლორთქიფანიძეები, ქსენია, სიმონ შენგელიები, თამარ, ვანო ცაგარეიშვილები, გრიშა ყენტი იუწყებიან გაიანეს დედის
ელენე კლიმიაშვილის
გარდაცვალებას. 8549

მეუღლე თამარი, შვილები: ელენე, ალექსანდრე, რუსუდანი და დათო, რძალი ნინო, სიძე ალექსანდრე იუწყებიან, რომ 27/X 1 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ილია ალექსანდრეს-ძე აღდგომელაშვილის
პანაშვიდი. 12

ცოლი ლუბა, შვილები ავთანდილ, ეთერ, დედა მარინე, და ვარინკა, ძმა ვენია იუწყებიან, რომ 27/X 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
გალაქტიონ სერგოს-ძე იაშვილის
პანაშვიდი. 8535

გერასიმე შვილებით ნადია, ვერა, ოქოლიტე, შალვა, გუგული ოჯახობით იუწყებიან, რომ 27/X 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ეკატერინა ისიდორეს-ასულ ჯაველიძის
ჯანაშვიდი. 8538

ქმარი დავით, შვილები ბიჭიკო, თენგიზ, მარო, რუსიკო, ოლია, მირა, ვლადიმერ, ვახტანგ ჩიქოვანები, სიძე სარიშვილი ჯუმბერით იუწყებიან
ელენე მაცაბერიძე-ჩიქოვანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ხაშურში. 8544

მშობლები ივლიტა, ბიქტორ მაცაბერიძეები შვილებით—ნინო, ოლია, ქეთო, ტასო, სიძეები კანდელაკი, კობალაძე, სულაქველიძე. თოფურიძე იუწყებიან
ელენე ვიქტორის-ასულ მაცაბერიძე-ჩიქოვანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ხაშურში. 8544

ცოლი ალექსანდრა გამრეკელი-კობახიძისა შვილით ნოდარით იუწყება
ვლადიმერ გიორგის-ძე კობახიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 26/X 7 ს. გამოსვენება 27/X 2 ს. არსენას, 38. 8539

ლიდა სანბური-კვიტაშვილისა შვილით მაყვალათი იუწყებიან, რომ 27/X 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია დის
ჟენია სანბურის
ჯანაშვიდი. 8517

მეუღლე სონა, შვილები კონსტანტინე, მარო, ნინო, ყალიჩავები, შვილიშვილები თენგიზ, ინგა კორინთელები იუწყებიან
ალექსი კონსტანტინეს-ძე ყალიჩავას
გარდაცვალებას. გამოსვენება ქუთაისი, ქავქავაძის, 18, 27/X 4½ ს. საფირჩხის სასაფლაოზე. 8519

ქ. თბილისის ბერიას სახელობის რაიონის იურიდიული კონსულტაცია იუწყება საქ. ადვოკატთა კოლეგიის უძველესი წევრის
დიმიტრი იოსების-ძე იაგორაშვილის
გარდაცვალებას. 8523

ჯანსახკომის ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომელ
სიდონია იორამის-ასულ გამყრელიძის
გარდაცვალებას. პანაშვი